სპეციალური განათლების (მასწავლებლის განათლება) უმაღლესი განათლების დარგობრივი

საბჭოს სხდომის ოქმი N1

თბილისი, 4 აგვისტო 2025

სპეციალური განათლების (მასწავლებლის განათლება) უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) N3 სხდომას ესწრებოდნენ სპეციალური განათლების (მასწავლებლის განათლება) უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს შემდეგი წევრები:

1. **ქეთევან აფთარაშვილი** - განათლების მეცნიერებების დოქტორი, შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი, სკოლამდელი განათლების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი, განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
2. **ნათია ნიაური** - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, მოწვეული ლექტორი; საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის ხელშეწყობის ქვეპროგრამის მულტიდისციპლინური გუნდის სპეციალური მასწავლებელი; „სპეციალური განათლების პედაგოგთა ასოციაციის" თავმჯდომარე - **საბჭოს მდივანი;**
3. **თამარ აბაშიძე -** ფსიქოლოგიის დოქტორი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - **საბჭოს წევრი;**
4. **მარინე გურგენიძე** - განათლების დოქტორი, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი - **საბჭოს წევრი;**
5. **ლელა თავდგირიძე** - პედაგოგიკის დოქტორი, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის პროფესორი, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი - **საბჭოს წევრი;**

6. **თამარ შინჯიაშვილი** - დემოგრაფიის დოქტორი, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი - საბჭოს წევრი;
7. **ვლადიმერ ადეიშვილი** - პედაგოგიკის დოქტორი, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი, სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი - **საბჭოს წევრი;**
8. **ნინო მოდებაძე** - პედაგოგიკის დოქტორი, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისა და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი - **საბჭოს წევრი;**
9. **შორენა ძამუკაშვილი** - განათლების მეცნიერებათა დოქტორი, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - **საბჭოს წევრი;**
10. **ელისო მურვანიძე** - განათლების დოქტორი, სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის სამსახურის უფროსი; საქართველოს პორტიჯის ასოციაციის ადრეული განვითარების პროგრამის კონსულტანტი; ბავშვთა ასაკის შეზღუდულ შესაძლებლობათა საქართველოს აკადემიის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; საქართველოს ფიზიკურ თერაპევტთა ასოციაციის დირექტორი - **საბჭოს წევრი;**
11. **ნინო გვარამაძე** - პედაგოგიკის დოქტორი, შპს ევროპის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტ-კონსულტანტი სამოქალაქო განათლების მიმართულებით - **საბჭოს წევრი;**
12. **ნინო ფეტვიაშვილი** - შპს ევროპის უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი; სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის უმცირესობათა ენებისა და რუსულის, როგორც უცხოური ენის ექსპერტ-კონსულტანტი - **საბჭოს წევრი;**
13. **ირმა ქურდაძე** - პედაგოგიკის დოქტორი, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი; სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის „ეროვნული სასწავლო გეგმის განვითარება ქართულენოვანი სკოლებისათვის“ კოორდინატორი - **საბჭოს წევრი;**

14. **თეონა ხოსიტაშვილი** - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის პროგრამის მენეჯერი, ჟურნალის ,,ინკლუზიური განათლება“ მთავარი რედაქტორი - **საბჭოს წევრი;**
15. **თამარ ისაკაძე** - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ტრენერი, ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის პროგრამის კონსულტანტი; ა(ა)იპ - ტრენინგებისა და კვლევის ჯგუფის დამფუძნებელი, დირექტორი, მასწავლებელთა პროფესიული უნარების განმავითარებელი ტრენინგ მოდულების ავტორი/ტრენერი - **საბჭოს წევრი;**
16. **სოფიო კერესელიძე** - საქართველოს აუტიზმის ასოციაციის პრეზიდენტი/თანადამფუძნებელი, აუტიზმის კვლევის და ხელშეწყობის ფონდის დამფუძნებელი და სასწავლო პროგრამების ხელმძღვანელი - **საბჭოს წევრი;**
17. **თამარ გაგოშიძე** - ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, შპს თამარ გაგოშიძის ნეიროფსიქოლოგიის ცენტრის დამფუძნებელი, წამყვანი ნეიროფსიქოლოგი; სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის პროფესორი; ნევროლოგიისა და ნეიროფსიქოლოგიის ინსტიტუტის დამფუძნებელი; ფსიქომეტრული და საკონსულტაციო ასოციაციის პრეზიდენტი; საგანმანათლებლო პოლიტიკისა და კვლევების ასოციაციის საბჭოს წევრი; საქართველოს ადრეული ინტერვენციის კოალიციის წევრი; საქართველოს უნივერსიტეტების სტუდენტთა ფსიქოლოგიური კონსულტაციის ცენტრების ასოციაციის თანადამფუძნებელი - **საბჭოს წევრი;**
18. **თეონა ყაჭეიშვილი** - ა(ა)იპ „მშობელთა ხიდის“ თავმჯდომარე - **საბჭოს წევრი.**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი:

- ნინო გოგლიჩიძე - კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის კოორდინატორი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 16:08 სთ-ზე.

კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის კოორდინატორი ნინო გოგლიჩიძე მიესალმა საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ სხდომას საბჭოს 30 წევრიდან ესწრებოდა საბჭოს 18 წევრი. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 11 ივნისის N476/ი ბრძანების, უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების, დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესის (შემდგომში 476/ი ბრძანება) მე-9 მუხლის 3 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მასში ესწრება/ელექტრონული

კომუნიკაციის საშუალებით მონაწილეობას იღებს საბჭოს წევრთა სიით შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების, დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესის (ბრძანება N476/ი 11.06.2019) თანახმად, საბჭოს მდივანი ადგენს: ა) საბჭოს ოქმს, რომელშიც აისახება გადაწყვეტილება პროექტის საჯარო განხილვაზე გატანის შესახებ; ბ) საბჭოს (საჯარო განხილვის) ოქმს, რომელშიც აისახება საჯარო განხილვის პროცესში მონაწილე მხარეების მიერ გამოთქმული შენიშვნები, მოსაზრებები და შეფასებები; გ) საბჭოს შემაჯამებელ ოქმს, რომელშიც აისახება დარგობრივი მახასიათებელზე მუშაობის პროცესი და საბჭოს მიერ დარგობრივი მახასიათებლის პროექტის ცენტრის დირექტორისთვის დასამტკიცებლად წარდგენის გადაწყვეტილება.

სპეციალური მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამისა და სპეციალური განათლების (მასწავლებლის განათლება) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივ მახასიათებლებში პროგრამაზე დაშვების წინაპირობასთან დაკავშირებული ჩანაწერის გადახედვის მიზნით საბჭოს 1-ლი სხდომა გაიმართა 2024 წლის 11 დეკემბერს ხოლო მე-2 სხდომა 2024 წლის 18 დეკემბერს. სხდომები მიზნად ისახავდა დარგობრივ მახასიათებელში მოყვანილი შემდეგი ფორმულირების:

„სპეციალური მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიან) საგანმანათლებლო პროგრამაზე წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლით დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია საგანმანათლებლო ინსტიტუციებში (სკოლები, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები და ა.შ.), დღის ცენტრებში და ა.შ. სწავლების არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება.“

შესაბამისობაში მოყვანას საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 1 ივლისის N113-ე ბრძანებით განსაზღვრულ წინაპირობასთან, რომლის თანახმადაც:

„სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტის ჩარიცხვის საფუძველია: ა) საბაზო პროფესიული უნარების გამოცდის წარმატებით ჩაბარება; ბ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდის ჩაბარება“.

2024 წლის 31 დეკემბერს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა (შემდგომში ცენტრი) N1675885 კორესპონდენციით წარუდგინა 2024 წლის 8 ნოემბრის N1442142 ბრძანებით დამტკიცებული სპეციალური განათლების (მასწავლებლის განათლება) უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს წევრთა ინიცირება „პირის სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის დამტკიცების

თაობაზე" საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 1 ივლისის N113-ე ბრძანებაში სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობების გადახედვასთან დაკავშირებით.

ცენტრის დირექტორის ბრძანებით 2021 წლის 12 დეკემბერს N1398735 ბრძანებით დამტკიცდა სპეციალური მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი, სადაც პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია შემდეგი: „საგანმანათლებლო ინსტიტუციებში (სკოლები, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები და ა.შ.), დღის ცენტრებში და ა.შ. სწავლების არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება.“

2024 წლის 18 დეკემბერს, ზემდგომ სამართლებრივ აქტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, დარგობრივმა საბჭომ იმსჯელა დარგობრივი მახასიათებლიდან დამატებითი წინაპირობის ამოღების თაობაზე, თუმცა, ხმათა უმრავლესობით საბჭომ გადაწყვიტა, რომ შესაბამის სამართლებრივ რეგულაციებში ცვლილების ინიცირებით მიემართა სამინისტროსთვის და ჩანაწერი დაეზუსტებინა შემდეგი ფორმულირებით: სპეციალური მასწავლებლის მომზადების (60-კრედიტიან) საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია საგანმანათლებლო ინსტიტუციებში (სკოლები, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები და ა.შ.), დღის ცენტრებში და ა.შ. სააღმზრდელო ან/და სწავლა-სწავლების პროცესში ჩართულობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი/ცნობა, რომელიც დამსაქმებლის მიერ იქნება გაცემული.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 2025 წლის 27 თებერვლის N215780 კორესპონდენციით სამინისტრომ ცენტრს აცნობა, რომ სფეროს განვითარებაზე ორიენტირებული გადაწყვეტილების მისაღებად მიზანშეწონილია, საკითხი განხილულ იქნას სამუშაო ფორმატში. შესაბამისად, მიმდინარე წლის 21 მარტს სამინისტროს, ცენტრისა და სპეციალური განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს წევრთა ნაწილის მონაწილეობით გაიმართა სამუშაო შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც მხარეებმა იმსჯელეს ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.

საბჭოს დამსწრე წევრთა პოზიციით სპეციალური მასწავლებლის მომზადების უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელში აუცილებლად უნდა იყოს ჩანაწერი განსაზღვრული საგანმანათლებლო ინსტიტუციებში (სკოლები, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები და ა.შ.), დღის ცენტრებში და ა.შ. სააღმზრდელო ან/და სწავლა-სწავლების პროცესში ჩართულობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის თაობაზე. დარგობრივი საბჭოს წევრების აღნიშნული

მოსაზრება დაეფუძნა სფეროს სპეციფიკას. კერძოდ, რამდენადაც სფეროში საქმიანობა უკავშირდება სხვადასხვა სახის სპეციალური საჭიროებისა და დარღვევის მქონე ბავშვების სწავლებას, რაც მასწავლებლისთვის მთელ რიგ ემოციურ სირთულეებთან არის დაკავშირებული, საბჭოს მოსაზრებით, შესაბამის დაწესებულებებში მუშაობის გამოცდილების მქონე პირი გააზრებულად მიიღებს სფეროში დასაქმებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას და ექნება შესაბამისი ემოციური მზაობა სფეროში საქმიანობასთან დაკავშირებულ სირთულეებთან გასამკლავებლად. ამასთან, დარგობრივი საბჭოს წევრთა მოსაზრებით, შესაბამისი გამოცდილების გარეშე, 1-წლიანი პერიოდი არასაკმარისია სპეციალური განათლების ყველა ასპექტის სათანადოდ შესწავლისთვის.

თუმცა, სამინისტროს და ცენტრის მოსაზრებით, 2-წლიანი გამოცდილების მოთხოვნის შენარჩუნება გარკვეულ დაბრკოლებებს ქმნის საქართველოს რეგიონალური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, განსაკუთრებით ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ტერიტორიებზე, სადაც სპეციალური მასწავლებლების დეფიციტი განსაკუთრებით მწვავეა. შესაბამისად, მიზანშეწონილია აღნიშნული წინაპირობის დარგობრივი მახასიათებლიდან ამოღება, რათა აღნიშნულ პროგრამაზე სტუდენტთა ხელმისაწვდომობა გაიზარდოს.

დამატებით, დარგობრივი საბჭოს წევრების მოსაზრებით, მიზანშეწონილია დაზუსტდეს მინისტრის 113/ნ ბრძანებაში მითითებული პროგრამაზე დაშვების წინაპირობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდის ჩაბარების ნაწილში. კერძოდ, მათი მოსაზრებით, მიზანშეწონილია განისაზღვროს, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას გამოცდის ჩატარება მათ შორის შეუძლია ზეპირი გასაუბრებითაც.

შესაბამისად რეკომენდებულ იქნა N113/ნ ბრძანების მე-3 მუხლის შინაარსის შემდეგი ფორმულირებით ჩამოყალიბება:

„სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტის ჩარიცხვის საფუძველია:

ა) საბაზო პროფესიული უნარების გამოცდის წარმატებით ჩაბარება;

ბ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდის ჩაბარება და/ან გასაუბრება;

გ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ აპლიკანტთათვის შესაძლებელია განისაზღვროს დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები."

2025 წლის 30 ივლისს, გაიმართა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილის - თამარ მახარაშვილის შეხვედრა სპეციალური განათლების დარგობრივი საბჭოს წევრებთან. შეხვედრის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ საბჭოს მიერ ინიცირებული ცვლილების ფარგლებში, მიზანშეწონილია მინისტრის N113/ნ ბრძანების შინაარსში სპეციალური მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებული ჩანაწერი ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ აწესებდეს საერთო სავალდებულო მოთხოვნებს პროგრამის განმახორციელებელი ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის, რამდენადაც სფერო რეგულირებადია და სამინისტრო მიზანშეწონილად ვერ მიჩნევს სფეროს შესაბამისი პროგრამების განსხვავებული სტანდარტებით განხორციელებას. ასევე, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული საბჭოს ემსჯელა აპლიკანტის პროფესიული გამოცდილების ვადასთან და აპლიკანტის მიერ სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტის შინაარსის დაზუსტებასთან დაკავშირებით, კერძოდ რა ტიპის დაწესებულებების მიერ შეიძლება იქნას გაცემული აღნიშნული დოკუმენტი და რა სახის ინფორმაცია უნდა იყოს მასში ასახული.

ასევე, განისაზღვრა, რომ საბჭომ ემსჯელა მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში აღიარებასა და სპეციალური მასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების ელექტრონულად განხორციელების თაობაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან აფთარაშვილმა წარადგინა დღის წესრიგი:

1. მსჯელობა სპეციალური მასწავლებლის მომზადებისა და სპეციალური განათლების (მასწავლებლის განათლება) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივ მახასიათებლებში პროგრამაზე დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით.
2. მსჯელობა მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში აღიარებასა და სპეციალური მასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების ელექტრონულად განხორციელების თაობაზე.

მოისმინეს

საბჭოს წევრთა მოსაზრებები სპეციალური მასწავლებლის მომზადებისა და სპეციალური განათლების (მასწავლებლის განათლება) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივ მახასიათებლებში პროგრამაზე დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით.

საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები გამოთქვეს, ირმა ქურდაძემ, თამარ გაგოშიძემ, თამარ აბაშიძემ, სოფია კერესელიძემ, ნათია ნიაურმა, თეონა ყაჭეიშვილმა, ვლადიმერ ადეიშვილმა, ლელა თავდგირიძემ და შორენა ძამუკაშვილმა.

საბჭოს განსახილველად წარედგინა ჩანაწერის დაზუსტებული ვარიანტი: „სპეციალური მასწავლებლის მომზადების (60-კრედიტიან) საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია საგანმანათლებლო ინსტიტუციებში (სკოლები, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები და ა.შ.), დღის ცენტრებში, აბილიტაცია/რეაბილიტაციის, განვითარებისა და ინტერვენციის ცენტრები და ა.შ. სააღმზრდელო ან/და სწავლა-სწავლების/ პროცესში ჩართულობის არანაკლებ 1-წლიანი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი/ცნობა, შესაბამისი სამუშაო აღწერილობით, რომელიც დამსაქმებლის მიერ იქნება გაცემული.“

ირმა ქურდაძემ აღნიშნა, რომ თუ გასაუბრება იქნება დაშვებული და პირი წარადგენს შესაბამის სამოტივაციო წერილს, საერთოდ გაუგებარია რა საჭიროა წინაპირობად აღნიშნული ჩანაწერის დატოვება დოკუმენტში, მისი თქმით, დაწესებულებების ჩამონათვალში „და ა.შ.“ უფრო მეტ ბუნდოვანებას იწვევს, მაგალითად შესაძლებელია, რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაციის ფარგლებში მუშაობის გამოცდილება უდასტურდებოდეს პირს სპეციალური განათლების მიმართულებით, ასევე შესაძლებელია მასწავლებლად ან აღმზრდელად მუშაობის გამოცდილება შესაძლებელია სულაც არ მეტყველებდეს სფეროში პირის მუშაობის მოტივაციაზე.

საკითხს გამოეხმაურა თამარ გაგოშიძე, მისი თქმით, იგი ეთანხმება დაზუსტებულ ფორმულირებას, მაგრამ მხარს არ უჭერს 2-წლიანი გამოცდილების ვადის შემცირებას, რადგან აღნიშნული ვადა მნიშვნელოვანია, იმ თვალსაზრისით, რომ მინიმუმ 1 წელი სფეროში ადაპტაციისთვის სჭირდება პირს, ხოლო მომდევნო წელი საჭიროა სფეროში სრულფასოვანი ინტეგრაციისთვის მისი აღნიშვნით, ამას მოწმობს ფსიქოლოგიის სფეროში არსებული არაერთი ავტორიტეტული წყარო. თამარ გაგოშიძის თქმით, მას აქვს საკმაოდ ცუდი გამოცდილება, მოცემულ სფეროს კადრების მიერ პროფესიის მოტივირებასთან დაკავშირებით, თამარ გაგოშიძის აღნიშვნით, მისი პროგრამის საუკეთესო აკადემიური მოსწრების მქონე რამდენიმე სტუდენტმა სფეროში საქმიანობა მიატოვა მისი რთული სპეციფიკის გამო, რადგან სპეციალური განათლების სფეროში საქმიანობა და სსსმ/შშმ მოსწავლეებთან მუშაობა ემოციურად საკმაოდ დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ამასთან, მან აღნიშნა, რომ ამ ტიპის ემოციური გადაწვა პრაქტიკაზე დაკვირვებით, სწორედ 1 წლის შემდგომ იჩენს თავს.

იგი ასევე, გამოეხმაურა ირმა ქურდაძის შენიშვნას იმასთან დაკავშირებით, რომ სამუშაო ადგილები არ არის ამომწურავად ჩამოთვლილი და „და ა.შ.“ იწვევს დაბნეულობას, მან აღნიშნა, რომ ახალ ფორმულირებაში მოცემულ ჩამონათვალში პრაქტიკულად დაფარულია

ყველანაირი დაწესებულება, რომელიც ამ ეტაპზე ბუნებაში არსებობს და „და ა. შ.“ დამატებით იძლევა საშუალებას, რომ მომავალში სხვა სახის სამუშაო ადგილის გაჩენის შემთხვევაში ჩანაწერის ცვლილება აღარ გახდეს საჭირო.

აღნიშნულს დაეთანხმა თამარ აბაშიძე, მისი თქმით, მისაღებია განახლებული, დაზუსტებული ჩანაწერის ფორმულირება, თუმცა ისიც ეთანხმება 2წლიანი გამოცდილების დატოვებას და აღნიშნული პოზიცია შეთანხმებულია მისი დაწესებულებაში სპეციალური განათლების უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან. მან აღნიშნა, რომ არსებული წინაპირობის გათვალისწინებით, მაინც ძალიან მაღალი იყო მათ პროგრამაზე მიმართვიანობა და მოსალოდნელზე უკეთეს შედეგზე გავიდნენ შესაბამისი სამუშაო გამოცდილების მქონე სტუდენტებთან მუშაობისას.

სოფია კერესელიძის თქმით, ისიც ეთანხმება ახალ, დაზუსტებულ ფორმულირებას, მაგრამ მიზანშეწონილია 2-წლიანი გამოცდილება არ შეიცვალოს, მან აღნიშნა, რომ მშობლისა და დამსაქმებლის პერსპექტივიდან არსებითი მნიშვნელობისაა ამ სფეროში სერვისის მიმწოდებლები და მასწავლებლები მაღალი კომპეტენციით გამოირჩეოდნენ. სოფია კერესელიძის განმარტებით, მშობლები და დამსაქმებლები არაერთ ბარიერს აწყდებიან ამ სფეროში სწორედ არსებული პერსონალის დაბალი კომპეტენციის გამო, ამიტომ მნიშვნელოვანია პირებს იმისთვის, რომ სრულყოფილად ჰქონდეთ გააზრებული სფეროს სპეციფიკა და კომპლექსურობა ჰქონდეთ სსსმ/შშმ ბავშვებთან და მოსწავლეებთან მუშაობის მინიმუმ 2-წლიანი გამოცდილება.

თეონა ყაჭეიშვილი და შორენა ძამუკაშვილი დაეთანხმნენ დაზუსტებულ ფორმულირებას და მათ შორის, სპეციალური მასწავლებლების სიმცირიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიიჩნიეს მეტი აპლიკანტის მოზიდვის მიზნით გამოცდილების ვადის 1 წლით განსაზღვრას.

ლელა თავდგირიძე და ვლადიმერ ადეიშვილი და ნათია ნიაური დაეთანხმნენ დაზუსტებულ ფორმულირებას, თუმცა არ დაეთანხმნენ 2-წლიანი გამოცდილების შეცვლას - 1 წლით. ვლადიმერ ადეიშვილის თქმით, გამოცდილების ვადის შემცირება პროგრამის ხარისხზე უარყოფითად აისახება, პროგრამა დიდი პასუხისმგებლობით უნდა განხორციელდეს, ამისთვის დაწესებულებებსაც სჭირდებათ შესაბამისი მზაობა სფეროს მნიშვნელობიდან და კომპლექსურობიდან გამომდინარე.

თამარ გაგოშიძემ სთხოვა საბჭოს თავმჯდომარეს კენჭისყრაზე დაეყენებინა მოდიფიცირებული ფორმულირება როგორც ერთწლიანი გამოცდილებით, ისე ორწლიანი გამოცდილებით. საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან აფთარაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა დაშვების წინაპირობის ფორმულირების შემდეგნაირად ჩამოყალიბების საკითხი:

„სპეციალური მასწავლებლის მომზადების (60-კრედიტიან) საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია საგანმანათლებლო ინსტიტუციებში (სკოლები, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები და ა.შ.), დღის ცენტრებში, აბილიტაცია/რეაბილიტაციის, განვითარებისა და ინტერვენციის ცენტრები და ა.შ. სააღმზრდელო ან/და სწავლა-სწავლების/ პროცესში ჩართულობის არანაკლებ 1-წლიანი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი/ცნობა, შესაბამისი სამუშაო აღწერილობით, რომელიც დამსაქმებლის მიერ იქნება გაცემული.“

დაადგინეს

აღნიშნული ჩანაწერი საბჭოს მიერ არ იქნა მხარდაჭერილი - (2 მომხრე -16 წინააღმდეგი).

საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან აფთარაშვილმა და საბჭოს წევრმა, ირმა ქურდაძემ აღნიშნეს, რომ არ ეთანხმებიან აღნიშნულ ჩანაწერს არც ერთწლიანი და არც ორწლიანი გამოცდილებით, მათი მოსაზრებით, აღნიშნული ჩანაწერი მიზანშეწონილია ამოღებულ იქნას დარგობრივი მახასიათებლიდან.

ზემოაღნიშნულ ფორმულირებას მხარი დაუჭირა დამსწრეთაგან მხოლოდ ორმა წევრმა - თეონა ყაჭეიშვილმა და შორენა ძამუკაშვილმა. მათი განმარტებით, ისინიც მხარს უჭერენ ორწლიან გამოცდილებას, თუმცა არსებული სიტუაციისა და სპეციალური მასწავლებლების სიმცირის გათვალისწინებით, ეს ყველაზე კომპრომისული ვარიანტია.

მოისმინეს

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან აფთარაშვილმა კენჭისყრაზე დააყენა დაშვების წინაპირობის ფორმულირების შემდეგნაირად ჩამოყალიბების საკითხი:

„სპეციალური მასწავლებლის მომზადების (60-კრედიტიან) საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია საგანმანათლებლო ინსტიტუციებში (სკოლები, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები და ა.შ.), დღის ცენტრებში, აბილიტაცია/რეაბილიტაციის, განვითარებისა და ინტერვენციის ცენტრები და ა.შ. სააღმზრდელო ან/და სწავლა-სწავლების/ პროცესში ჩართულობის არანაკლებ 2-წლიანი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი/ცნობა, შესაბამისი სამუშაო აღწერილობით, რომელიც დამსაქმებლის მიერ იქნება გაცემული.“

დაადგინეს

საბჭომ ხმათა უმრავლესობით მიიღო ზემოაღნიშნული ჩანაწერი, 14 ხმით - 4-ის წინააღმდეგ. ჩანაწერის ფორმულირებას მხარი არ დაუჭირა ქეთევან აფთარაშვილმა, ირმა ქურდაძემ, თეონა ყაჭეიშვილმა და შორენა ძამუკაშვილმა.

მოისმინეს

საბჭომ ასევე იმსჯელა სპეციალური განათლების (მასწავლებლის განათლება) უმაღლესი განათლების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივ მახასიათებელში 2-წლიან გამოცდილებასთან დაკავშირებული ჩანაწერის მოდიფიცირების თაობაზე, საბჭოს წევრების თამარ გაგოშიძის, ირმა ქურდაძის, ქეთევან აფთარაშვილის თქმით იმდენად, რამდენადაც მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამისთვის საბჭოს მიერ პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვრა „საგანმანათლებლო ინსტიტუციებში (სკოლები, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები და ა.შ.), დღის ცენტრებში, აბილიტაცია/რეაბილიტაციის, განვითარებისა და ინტერვენციის ცენტრები და ა.შ. სააღმზრდელო ან/და სწავლა-სწავლების/ პროცესში ჩართულობის არანაკლებ 2-წლიანი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი/ცნობა, შესაბამისი სამუშაო აღწერილობით, რომელიც დამსაქმებლის მიერ იქნება გაცემული.“ შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამისთვის ამაზე უფრო დაბალი მოთხოვნა ვერ დაწესდება აღნიშნული პროგრამის კომპლექსურობიდან და მოცულობითი შინაარსიდან გამომდინარე, შესაბამისად, მიზანშეწონილია, მაგისტრატურის დონეზეც სპეციალური განათლების საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად იგივე ან უფრო მაღალი მოთხოვნები დაწესდეს.

დაადგინეს

სპეციალური განათლების (მასწავლებლის განთლება) უმაღლესი განთლების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივ მახასიათებელში დაშვების წინაპირობად განისაზღვრა: „არანაკლებ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და საგანმანათლებლო ინსტიტუციებში (სკოლები, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები და ა.შ.), დღის ცენტრებში, აბილიტაცია/რეაბილიტაციის, განვითარებისა და ინტერვენციის ცენტრები და ა.შ. სააღმზრდელო ან/და სწავლა-სწავლების/ პროცესში ჩართულობის არანაკლებ 2-წლიანი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი/ცნობა, შესაბამისი სამუშაო აღწერილობით, რომელიც დამსაქმებლის მიერ იქნება გაცემული“.

მოისმინეს

საბჭომ იმსჯელა მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში აღიარების თაობაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით ცენტრის წარმომადგენელმა, ნინო გოგლიჩიძემ განმარტა, რომ ამჟამად მოქმედი კანონმდებლობა არ უშვებს ამ შესაძლებლობას. კანონში „უმაღლესი განათლების შესახებ" აკადემიური განათლება შემდეგნაირადაა განმარტებული:

„ე[1]) აკადემიური უმაღლესი განათლება – უმაღლესი განათლების კურსი, რომელიც მოიცავს ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებს".

უმაღლეს განათლებაში იმავე საფეხურის სწავლის შედეგების აღიარება დაშვებულია მხოლოდ აკადემიური განათლების მიზნებისთვის:

„მუხლი 50[1]. ერთი კვალიფიკაციის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების სხვა კვალიფიკაციის მიზნებისათვის აღიარება

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია აღიაროს აკადემიური უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პირის მიერ მიღწეული სწავლის შედეგები აკადემიური უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის სხვა საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევით შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების მიზნებისათვის."

შესაბამისად, მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება ვერ დარეგულირდება მხოლოდ მინისტრის ბრძანებით და შესაძლებელი გახდება მხოლოდ საკანონმდებლო ცვლილების შემდგომ.

საბჭომ ასევე იმსჯელა სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო კომპონენტების ელექტრონულად განხორციელების თაობაზე, საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ ეს შესაძლებლობა საშუალებას მისცემს მოქმედ მასწავლებლებს სამუშაოს მიტოვების გარეშე აიმაღლონ კვალიფიკაცია სპეციალური განათლების მიმართულებით, ასევე ხელს შეუწყობს რეგიონებიდან აპლიკანტების მოზიდვას და პროგრამების მოქნილად განხორციელებას. საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან აფთარაშვილმა აღნიშნა, რომ მინისტრის 2024 წლის 30 აგვისტოს N142/ნ ბრძანების მე-2 მუხლის „ვ“ პუნქტით დარეგულირებულია აღნიშნული საკითხი: „მასწავლებლის მომზადებისა და სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე ელექტრონული სწავლება დაშვებულია არაუმეტეს 50 კრედიტისა.“

დაადგინეს

სპეციალური მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამისა და სპეციალური განათლების (მასწავლებლის განათლება) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივ მახასიათებლებში დაშვების წინაპირობასთან დაკავშირებულ ჩანაწერების ცვლილება და დარგობრივი მახასიათებლის შემმუშავებელი ჯგუფის წევრების სიის განახლება განხორციელდეს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 1 ივლისის N113/ნ ბრძანებაში შესაბამისი ცვლილების შეტანისთანავე. სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო

პროგრამის უმაღლესი განათლების განახლებული დარგობრივი მახასიათებელი და სპეციალური განათლების (მასწავლებლის განათლება) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განახლებული დარგობრივი მახასიათებელი შესაბამისი ტექნიკური ცვლილებებით ჩამოყალიბდეს ამ ოქმის დანართი N 1-ისა და დანართი N2-ის შესაბამისად.

სხდომა დასრულდა 17:06 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე

ქეთევან აფთარაშვილი

Ketevan Aptarashvili 14001023351

Digitally signed by Ketevan Aptarashvili
Date: 2025.08.06 12:41:12

NN

Natia Niauri<natianiauri@gmail.com>

To: GEO QUALIFICATIONS

Tue 05/08/2025 18:28

Cc: k.aptarashvili@eeu.edu.ge; **+4 others**

This sender natianiauri@gmail.com is from outside your organisation. Block sender

სპეც განათლება ოქმი N1....
119 KB

მოგესალმებით,

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 8 ნოემბრის N 1442142 ბრძანებით დამტკიცებული სპეციალური განათლების (მასწავლებლის განათლება) უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს მდივანი - ნათია ნიაური ვადასტურებ, რომ ვეთანხმები საბჭოს მე-3 სხდომის, N1 ოქმის შინაარსს.

პატივისცემით,
ნათია ნიაური

თარიღი 05/08/2025

დანართი N1

სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის

უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი უმაღლესი

განათლების I საფეხური

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI დონე

2025

I. შესავალი

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლის მიზანია ხელი შეუწყოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებას, სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდოლოგიის დანერგვას, პროგრამის ათვისებით ისეთი კომპეტენციების ჩამოყალიბებას, რომელთა საფუძველზე შესაძლებელი გახდება საზოგადოებრივ თუ პროფესიულ საქმიანობაში პირის შესაძლებლობების რეალიზება და კარიერული წინსვლა. სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის მოცულობა შეადგენს 60 კრედიტს, ეფუძნება სპეციალური მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს. მისი დასრულების შედეგად გაიცემა სპეციალური მასწავლებლის სერტიფიკატი. სპეციალური მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებელი ეფუძნება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI დონით განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს. დასაქმების ბაზრის მოთხოვნებსა და საერთაშორისო სტანდარტებს.

ინკლუზიური განათლების მოდელი ეფუძნება იმ პრინციპს, რომ ყველა ბავშვს აქვს უფლება მიიღოს განათლება და მაქსიმალურად გამოავლინოს თავისი პოტენციალი. სპეციალური მასწავლებელი, ერთ-ერთი მთავარი აქტორია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებზე მორგებული სწავლება-სწავლის პროცესისა და გარემოს უზრუნველყოფისთვის.

სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი მიზნად ისახავს ისეთი პროფესიონალების მომზადების ხელშეწყობას, რომლებსაც თანამედროვე გამოწვევების ფონზე ექნებათ მიმღებლობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა მიმართ, ნათლად ექნებათ გააზრებული სპეციალური მასწავლებლის როლი და პასუხისმგებლობა სწავლება-სწავლის პროცესში.

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებელი განსაზღვრავს სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის დამადასტურებელი სერტიფიკატის მისანიჭებლად აუცილებელ მინიმალურ სავალდებულო სწავლის შედეგებს, მათ მისაღწევად საჭირო სწავლება–სწავლის, შეფასების მიდგომებს და სხვა არსებით მახასიათებლებს.

დარგობრივი მახასიათებლის მოქმედების ვადა განისაზღვრება 7 წლით.

ინგლისურ ენაზე დარგობრივი მახასიათებლის დასახელებაა Subject Benchmark Statement of Special Education Teacher Training.

სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი განსაზღვრავს იმ ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის მინიმალურ სავალდებულო სტანდარტს, რომლებსაც შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული შეიძენს.

წინამდებარე დარგობრივ მახასიათებელს უნდა იცნობდეს პირი, თუ იგი მონაწილეობს სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების ან საგანმანათლებლო

პროგრამების კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შემუშავებაში, განხორციელებასა და შეფასებაში.

დარგობრივი მახასიათებლის გაცნობა რეკომენდებულია:

- აბიტურიენტისთვის, რომელსაც სურს დაეუფლოს სპეციალური მასწავლებლის პროფესიას;
- სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირისთვის, რომელსაც აინტერესებს რა ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს შეიძენს პროგრამის დასრულების შემდეგ;
- დამსაქმებლისათვის, რომელსაც სურს სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულის ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების შესახებ ინფორმაციის მიღება.
- სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში ჩართულ პირებისთვის.

წინამდებარე სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული დებულებები, გარდა სარეკომენდაციო ხასიათისა, სავალდებულოა შესასრულებლად ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის, სადაც განხორციელდება სპეციალური მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამა.

ამასთან, საგანმანათლებლო პროგრამის დეტალური შინაარსი, მისი განხორციელების გზები, ასევე სწავლება-სწავლისა და შეფასების მეთოდები განისაზღვრება თითოეული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ავტონომიურად, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დარგობრივ მახასიათებელთან სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის მონიტორინგი შესაძლებელია განხორციელდეს პერიოდულად, მოქმედი აკრედიტაციის სტანდარტებისა და შესაბამისი პროცედურების საფუძველზე.

სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების საფუძველს წარმოადგენს:

- საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ;
- საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ;
- „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 21 ნოემბრის N1014 ბრძანება;
- „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის N241 დადგენილება;

- საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის ბრძანება N16/ნ „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე“;
- „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40 ბრძანება;
- „საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის თაობაზე“ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 28 სექტემბრის N126/ნ ბრძანება;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია;
- იუნესკოს სალამანკას დეკლარაცია;
- ბავშვთა უფლებების კონვენცია;
- 2014 წლის 27 ივნისის საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება;
- საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ;
- 2020 წლის 1 სექტემბრის „ბავშვის უფლებების კოდექსი“.
- სხვა მარეგულირებელი დოკუმენტები.

სპეციალური მასწავლებლის მომზადების (60-კრედიტიანი) საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლის განახლების საფუძველია აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისობაში მოყვანა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიერ განსაზღვრულ და/ან შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნებთან, ასევე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ რეგულაციებთან.

2025 წელს დოკუმენტის განახლების საფუძველია დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისობაში მოყვანა ზემდგომ სამართლებრივ აქტებთან.

II. სწავლის სფეროს აღწერა

სპეციალური მასწავლებლის მომზადება ემსახურება საგანმანათლებლო ინსტიტუციებში (სკოლები, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები და ა.შ.), დღის ცენტრებში და ა.შ. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის შესაბამისი კვალიფიკაციის, ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობების მქონე პირის მომზადებას.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება გულისხმობს სირთულეებს ან შეზღუდულ შესაძლებლობას, რომელსაც აწყდება მოსწავლე სწავლის პროცესში და რომლის დაძლევაც სპეციალური დახმარების გარეშე უჭირს შემდეგ სფეროებში: აკადემიური უნარები (კითხვა, წერა, ანგარიში), ინფორმაციის გაგება, გააზრება, საკუთარი აზრის და შეხედულებების გადმოცემა,

ქცევის მართვა, ურთიერთობა თანატოლებთან, მოწესრიგებულობა, სხვადასხვა სახის სენსორული და ფიზიკური დარღვევები, გრძელვადიანი მკურნალობის ან ჰოსპიტალიზაციის შემდგომი საჭიროება, უმცირესობების წარმომადგენლობა ან სოციალური დაუცველობა; განსაკუთრებული მხარდაჭერა სავალდებულო/ფორმალური განათლების მიღმა მყოფი მოსწავლეებისთვის.[1]

სპეციალური მასწავლებელი რეაგირებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საგანმანათლებლო საჭიროებებზე. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოსწავლის ინტეგრირების ხელშეწყობის მიზნით, მონაწილეობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში, შესაბამისი აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში.

მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის №241 დადგენილებაში სხვა ცვლილებებთან ერთად სპეციალური მასწავლებლის პროფესიული წინსვლის შესახებაც გაჩნდა ჩანაწერი. გაიწერა კონკრეტული გზები, როგორ აიმაღლებენ სტატუსს და რა სახის გამოცდების ჩაბარება მოუწევთ სპეციალურ მასწავლებლებს.

2020 წელს მოქმედი სპეციალური მასწავლებლები ჩაერთნენ მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში, ხოლო 2021 წელს, შესაბამისი სფეროს სპეციალისტებს, პირველად მიეცათ სპეციალურ განათლებაში შესაბამისი კომპეტენციის დადასტურების შესაძლებლობა გამოცდის გზით. ამჟამინდელი მდგომარეობით, საქართველოში, სპეციალური მასწავლებლის კვალიფიკაციის მქონე პირთა რაოდენობა არასაკმარისია იმისთვის, რომ დააკმაყოფილოს საქართველოში არსებული სკოლების მზარდი მოთხოვნა კვალიფიციურ სპეციალური განათლების მასწავლებელზე.

სპეციალური მასწავლებლის პროფესია რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით, რომელიც განსაზღვრავს სპეციალური მასწავლებლის მომზადების (60-კრედიტიან) საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და შესაბამის მოთხოვნებს. სპეციალური მასწავლებლის მომზადების (60-კრედიტიან) საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია საგანმანათლებლო ინსტიტუციებში (სკოლები, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები და ა.შ.), დღის ცენტრებში, აბილიტაცია/რეაბილიტაციის, განვითარებისა და ინტერვენციის ცენტრები და ა.შ. სააღმზრდელო ან/და სწავლა-სწავლების/ პროცესში ჩართულობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი/ცნობა, შესაბამისი სამუშაო აღწერილობით, რომელიც დამსაქმებლის მიერ იქნება გაცემული.

პროგრამის დასრულების შემდეგ, პირზე გაიცემა სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის სერტიფიკატი.

III. სწავლის შედეგები

დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული სწავლის შედეგები მიმართულია იმ ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის შეძენა/განვითარებისაკენ, რომელიც კურსდამთავრებულს მოეთხოვება შესაბამის საფეხურზე სწავლის დასრულებისას.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისას შეუძლია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და დარგის თანამედროვე მიღწევების/გამოცდილების გათვალისწინებით, სპეციალური განათლების სფეროს განვითარების მიზნით დამატებით სხვა სწავლის შედეგებიც განსაზღვროს.

3.1 სპეციალური მასწავლებლის მომზადების უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

3.1.1 ცოდნა და გაცნობიერება

- ახდენს ზოგადი ცოდნის დემონსტრირებას ინკლუზიური განათლების არსის, მისი ძირითადი პრინციპებისა და მახასიათებლების, სპეციალური და ინკლუზიური განათლების ისტორიული და ფილოსოფიური საფუძვლების შესახებ;
- განსაზღვრავს ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციის: აკომოდაციის/მოდიფიკაციის სახეებსა და მის მნიშვნელობას ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში;
- აანალიზებს ბავშვის განვითარების კანონზომიერებებს და მის ხელშემწყობ ფაქტორებს, აღწერს განვითარების დარღვევებს და მათ გამოვლინებებს, რომელიც ხელს უშლის ინდივიდს სწავლასა და დამოუკიდებელ ფუნქციონირებაში;
- აანალიზებს და არგუმენტირებულად ასაბუთებს თუ რა გავლენას ახდენს გარემოში არსებული მოლოდინები, მნიშვნელოვანი უფროსების დამოკიდებულება და უკუკავშირი ინდივიდის აკადემიურ მიღწევასა და ქცევაზე;
- ასაბუთებს ინკლუზიური განათლების დანერგვის პროცესში გუნდური მიდგომის მნიშვნელობას სხვა მასწავლებლებთან, სპეციალისტებთან, სპეციალური საგანმანათლებო საჭიროების მქონე პირებთან და ოჯახებთან თანამშრომლობისა და მათი მხარდაჭერის აუცილებლობას.

3.1.2 უნარი

- ამოიცნობს ინდივიდის სავარაუდო სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებას და უზრუნველყოფს დროულ რეფერირებას შესაბამის სპეციალისტთან;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფის წევრებთან ერთად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შეფასების საფუძველზე, ადგენს და ახორციელებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფის წევრებთან ერთად, გეგმავს და ახორციელებს აქტივობებს/პროგრამას სასწავლო გარემოში თანატოლებს შორის პოზიტიური ურთიერთობის ჩამოყალიბებისა და ჯგუფთან მიკუთვნებულობის ხელშეწყობის მიზნით;
- მონაწილეობს საგანმანათლებლო სისტემის სხვადასხვა საფეხურზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ტრანზიციის გეგმის შემუშავებასა და განხორციელებაში;
- წარმართავს განათლების პროცესს უნივერსალური სასწავლო დიზაინის პრინციპების შესაბამისად.

3.1.3 პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას იცავს პროფესიულ ეთიკას;
- მუშაობს მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრაქტიკის პრინციპების საფუძველზე;
- განსაზღვრავს საკუთარ სასწავლო საჭიროებებს და გეგმავს პროფესიულ განვითარებას.

IV. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში კურსდამთავრებულებს აკადემიური ხარისხი არ ენიჭებათ. პროგრამის დასრულების შედეგად გაცემული სპეციალური მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატი კურსდამთავრებულებს სპეციალურ მასწავლებლად დასაქმების უფლებას ანიჭებს.

V. სწავლება, სწავლა და შეფასება

სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ერთიანმა კურსმა უნდა დააბალანსოს თეორიული და პრაქტიკული ასპექტები, უზრუნველყოს დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული მინიმალური სწავლის შედეგების მიღწევა და მომავალი სპეციალისტების მომზადება პროფესიული საქმიანობისთვის, რაც პრაქტიკული უნარების, სამეცნიერო ცოდნისა და მეთოდების სათანადო გამოყენებას მოითხოვს.

სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა სწავლება-სწავლისა და შეფასებისას უნდა ეფუძნებოდეს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს. სწავლება–სწავლის მეთოდები, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, უნდა უზრუნველყოფდეს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

სწავლებისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს შემდეგი ფორმები და მეთოდები:

- ლექცია, სემინარი;
- ინდუქცია/დედუქცია;
- ანალიზი/სინთეზი;
- დისკუსია/დებატები;
- ევრისტიკული მეთოდი;
- პრაქტიკული მუშაობა (სემინარი, სასწავლო/საველე პრაქტიკა);
- დამოუკიდებელი მუშაობა;
- ელექტრონული რესურსებით სწავლება;
- დისკუსია/დებატები;
- ჯგუფური მუშაობა;
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება;
- შემთხვევის ანალიზი;
- სუპერვიზია;
- გონებრივი იერიში;
- მასალის ანალიზი და სინთეზი;
- ინტროსპექცია და თვითრეფლექსია;
- კომპეტენციაზე დაფუძნებული სწავლება;
- Result ფორმატი;
- სიტუაციის მოდელირება და როლური თამაშები;
- ესეს, რეფერატის, პრეზენტაციის მომზადება;
- და სხვ.

პროგრამაზე ჩარიცხული პირის შეფასების კომპონენტები და მეთოდები პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული შეფასების ფორმები (აქტივობა, შუალედური და დასკვნითი შეფასება) შესაძლებელია მოიცავდეს შეფასების კომპონენტებს, რომლებიც

განსაზღვრავს ჩარიცხული პირის ცოდნის, უნარის და კომპეტენციის შეფასების შემდეგ საშუალებებს:

- ზეპირი გამოცდა;
- წერითი გამოცდა;
- ზეპირი გამოკითხვა;
- წერითი გამოკითხვა;
- საშინაო დავალება;
- პრეზენტაცია;
- წერილობითი ნაშრომი;
- პრაქტიკული სამუშაო;
- პრაქტიკის ანგარიში;
- პორტფოლიო;
- და სხვ.

პროგრამაში შემავალი თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული შეფასების კომპონენტები შესაძლებელია აერთიანებდეს შეფასების შემდეგ მეთოდებს:

- ტესტი;
- ქვიზი;
- ღია კითხვა;
- ესე;
- პრეზენტაცია;
- დემონსტრირება;
- მოხსენება;
- სასემინარო მოხსენება;
- რეფერატი (წერითი ნაშრომი);
- კითხვა–პასუხი;
- პრაქტიკული დავალების შესრულება;
- თეორიული დავალების შესრულება;
- ჯგუფური დავალების შესრულება;
- დისკუსია–დებატებში მონაწილეობა;
- პრაქტიკის ანგარიში;
- პორტფოლიო;
- სხვა.

პროგრამებში პრაქტიკული კომპონენტი ემსახურება პროგრამაზე ჩარიცხული პირების პრაქტიკული უნარების განვითარებას და პროგრამის განუყოფელი ნაწილია. სპეციალური

მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამა უნდა მოიცავდეს სასკოლო პრაქტიკას არანაკლებ 10 ECTS კრედიტის მოცულობით, პროგრამის ფარგლებში ასევე შესაძლებელია გათვალისწინებული იყოს სასწავლო კურსებში ჩაშენებული პრაქტიკა.

VI. დამატებითი ინფორმაცია

6.1. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირების კვალიფიკაცია

სპეციალური მასწავლებლის მომზადების (60-კრედიტიანი) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება შესაძლებელია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესაბამისი რაოდენობისა და კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალის და მოწვეული სპეციალისტების ჩართულობით, რომლებიც სათანადო გამოცდილებითა და კომპეტენციებით უზრუნველყოფენ პროგრამის სტაბილურ, ეფექტიან ფუნქციონირებას და განვითარებას, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

<u>პრაქტიკის კომპონენტის განხორციელებაში ჩართული პირების კვალიფიკაცია</u>

სასკოლო პრაქტიკა სწავლის პერიოდში შესაძლოა იყოს როგორც სასწავლო კურსებში ჩაშენებული, ისე დამოუკიდებლად განხორციელებული.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პრაქტიკის კომპონენტის ხელმძღვანელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს: არანაკლებ მაგისტრის აკადემიური ხარისხი სპეციალური განათლების, განათლების ან/და ფსიქოლოგიის მიმართულებით, და ინკლუზიური განათლების სფეროში სწავლების ან/და მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში პრაქტიკის განხორციელებაში ჩართული პირი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს: ინკლუზიური განათლების სფეროში სწავლების ან/და მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება, არანაკლებ უფროსი მასწავლებელი ან/და უფროსი სპეციალური მასწავლებელი ან/და ფსიქოლოგი.

პრაქტიკის კომპონენტი ხორციელდება პარტნიორ სკოლებში, ასევე საგანმანათლებლო კურსებში ჩაშენებული პრაქტიკის განხორციელება შესაძლებელია იმ ორგანიზაციებში, რომლებიც ახორციელებენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სწავლებას ან/და დამატებითი სერვისების მიწოდებას (ადრეული განვითარების პროგრამა, აუტიზმის პროგრამა, შშმ პირთა დღის ცენტრები, აბილიტაცია/რეაბილიტაციისა და ინტერვენციის ცენტრები და სხვა).

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება თავად განსაზღვრავს პრაქტიკის ფორმას და მისი განხორციელების ადგილს არსებული რესურსების, ინფრასტრუქტურის და საგანმანათლებლო პროგრამების მიზნის, შინაარსისა და შედეგების მიღწევის გზების გათვალისწინებით.

6.2 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სპეციალური მასწავლებლის მომზადების სპეციფიკის გათვალისწინებით უნდა არსებობდეს აუცილებელი ინვენტარით და ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი სასწავლო ფართი, რაც აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს და პროგრამაზე ჩარიცხულ პირებს შეუქმნის სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელ პირობებს.

საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ პროგრამაზე ჩარიცხული პირებისთვის უნდა უზრუნველყოს:

- საინფორმაციო–ტექნოლოგიური და სხვა სახის მატერიალურ–ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი კაბინეტები და აუდიტორიები;
- მუდმივად განახლებად წიგნად ფონდზე, საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებსა და სხვა შესაბამის სასწავლო მასალებზე წვდომა;
- შესაბამისი სასწავლო მულტიმედიური მასალები;
- სხვა/დამატებითი რესურსები და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების, პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებას.

6.3. დასაქმების პერსპექტივა

სპეციალური მასწავლებლის აკადემიური ხარისხის მქონე პირი შეიძლება დასაქმდეს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, ზოგადსაგანმანათლებლო ან/და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, დღის ცენტრებში, სარეაბილიტაციო დაწესებულებებში, მცირე საოჯახო ტიპის ცენტრებში, ასევე განათლების სფეროში, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული რეგულაციების გათვალისწინებით ყველგან, სადაც პროგრამის კურსდამთავრებული აკმაყოფილებს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

VII. დარგობრივი მახასიათებლის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები

N	სახელი, გვარი	ორგანიზაცია/დაწესებულება	თანამდებობა
1.	ქეთევან აფთარაშვილი	შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი	განათლების მეცნიერებების დოქტორი, შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი, სკოლამდელი განათლების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი, განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე.
2.	ნათია ნიაური	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ; საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის ხელშეწყობის ქვეპროგრამის მულტიდისციპლინური გუნდის სპეციალური მასწავლებელი; „სპეციალური განათლების პედაგოგთა ასოციაციის" დამფუძნებელი - საბჭოს მდივანი.
3.	თამარ აბაშიძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფსიქოლოგიის დოქტორი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა

			ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს წევრი.
4.	მარინე გურგენიძე	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	განათლების დოქტორი, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი - საბჭოს წევრი.
5.	ლელა თავდგირიძე	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პედაგოგიკის დოქტორი, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის პროფესორი, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი - საბჭოს წევრი.
6.	ნინო კობალაძე	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი, ბავშვის განვითარებისა და განათლების ფსიქოლოგი - საბჭოს წევრი.
7.	მაია ჩქოტუა	შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	განათლების მეცნიერებათა დოქტორი, შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალური, ჰუმანიტარული და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, სამეცნიერო ჟურნალის „განათლების ჟურნალი შავი ზღვის რეგიონში (JEBS)" მთავარი

			რედაქტორი - საბჭოს წევრი.
8.	თამარ შინჯიაშვილი	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	დემოგრაფიის დოქტორი, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი - საბჭოს წევრი.
9.	ლელა ალექსიძე	სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი - საბჭოს წევრი;
10.	ვლადიმერ ადეიშვილი	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პედაგოგიკის დოქტორი, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი, სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს წევრი.
11.	ნინო მოდებაძე	სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პედაგოგიკის დოქტორი, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისა და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი - საბჭოს წევრი.
12.	შორენა ძამუკაშვილი	სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	განათლების მეცნიერებათა დოქტორი, სსიპ - იაკობ გოგებაშვილისსახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის

			განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს წევრი.
13.	ელისო მურვანიძე	სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	განათლების დოქტორი, სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის სამსახურის უფროსი; საქართველოს პორტიჯის ასოციაციის ადრეული განვითარების პროგრამის კონსულტანტი; ბავშვთა ასაკის შეზღუდულ შესაძლებლობათა საქართველოს აკადემიის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; საქართველოს ფიზიკურ თერაპევტთა ასოციაციის დირექტორი - საბჭოს წევრი.
14.	ეკა გიგაშვილი	შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი	განათლების მეცნიერებათა დოქტორი, შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ADB -ის (აზიის განვითარების ბანკსა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ერთობლივი პროექტი) კურიკულუმისა და სასწავლო მასალების განვითარების კონსულტანტი; არაფორმალური განათლების სერტიფიცირებული კონსულტანტი - საბჭოს წევრი.
15.	ნინო გვარამაძე	შპს ევროპის უნივერსიტეტი	პედაგოგიკის დოქტორი, შპს - ევროპის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტ-კონსულტანტი სამოქალაქო

			განათლების მიმართულებით - საბჭოს წევრი
16.	ნინო ფეტვიაშვილი	შპს ევროპის უნივერსიტეტი	შპს - ევროპის უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი; სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის უმცირესობათა ენებისა და რუსულის, როგორც უცხოური ენის ექსპერტ-კონსულტანტი - საბჭოს წევრი.
17.	პაატა პაპავა	შპს - კავკასიის უნივერსიტეტი	შპს - კავკასიის უნივერსიტეტის განათლების სკოლის ასოცირებული პროფესორი, მასწავლებელთა პროფესიული უნარების პროგრამის კოორდინატორი, საქართველოს პარლამენტთან არსებული განათლების სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი - საბჭოს წევრი.
18.	ირმა ქურდაძე	სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პედაგოგიკის დოქტორი, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი; სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის „ეროვნული სასწავლო გეგმის განვითარება ქართულენოვანი სკოლებისათვის“ კოორდინატორი - საბჭოს წევრი.
19.	ნინო გოგიჩაძე	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალური

			განათლების და ენის, მეტყველების და კომუნიკაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების თანახელმძღვანელი; მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის მოწვეული მასწავლებელი; ამავე უნივერსიტეტის ბავშვის განვითარების ინსტიტუტის მთავარი სპეციალისტი; გამოყენებით ქცევით ანალიტიკოსთა ასოციაციის დამფუძნებელი საბჭოს წევრი - საბჭოს წევრი.
20.	მაია შუხოშვილი	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს უმაღლესი განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - საბჭოს წევრი.
21.	თამარ ჟღენტი	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის, ინკლუზიური განვითარების სამმართველოს უფროსი - საბჭოს წევრი.
22.	მაია წულაძე	სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური	სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ინკლუზიური და სპეციალური განათლების მხარდამჭერი ცენტრის (სამმართველო) უფროსი - საბჭოს წევრი.
23.	თეონა ხოსიტაშვილი	სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი	სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის პროგრამის მენეჯერი, ჟურნალის ,,ინკლუზიური

			განათლება“ მთავარი რედაქტორი - საბჭოს წევრი.
24.	თამარ ისაკაძე	სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი	სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ტრენერი, ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის პროგრამის კონსულტანტი; ა(ა)იპ - ტრენინგებისა და კვლევის ჯგუფის დამფუძნებელი, დირექტორი, მასწავლებელთა პროფესიული უნარების განმავითარებელი ტრენინგ მოდულების ავტორი/ტრენერი - საბჭოს წევრი.
25.	სალომე გაბაძე	შპს- თბილისის აუტიზმის ცენტრი - პირამიდა	შპს- თბილისის აუტიზმის ცენტრ - პირამიდას დირექტორი - საბჭოს წევრი.
26.	სოფიო კერესელიძე	ა(ა)იპ - საქართველოს აუტიზმის ასოციაცია	ა(ა)იპ - საქართველოს აუტიზმის ასოციაციის პრეზიდენტი, თანადამფუძნებელი, აუტიზმის კვლევის და ხელშეწყობის ფონდის დამფუძნებელი და სასწავლო პროგრამების ხელმძღვანელი - საბჭოს წევრი.
27.	მაია ბაგრატიონი-გრუზინსკი	ა(ა)იპ - მაკ-ჯორჯია	ა(ა)იპ მაკ-ჯორჯიას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე პროექტების მენეჯერი, ინკლუზიური განათლების კონსულტანტი - საბჭოს წევრი.
28.	მარიანა ხუნძაყიშვილი	ა(ა)იპ - საქართველოს სკოლის ფსიქოლოგთა ასოციაცია	ა(ა)იპ - საქართველოს სკოლის ფსიქოლოგთა ასოციაციის თანადამფუძნებელი, აღმასრულებელი დირექტორი; საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის კომიტეტის ზოგადი განათლების სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი - საბჭოს წევრი.

29.	თამარ გაგოშიძე	შპს - თამარ გაგოშიძის ნეიროფსიქოლოგიის ცენტრი	ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, შპს თამარ გაგოშიძის ნეიროფსიქოლოგიის ცენტრის დამფუძნებელი, წამყვანი ნეიროფსიქოლოგი; სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის პროფესორი; ნევროლოგიისა და ნეიროფსიქოლოგიის ინსტიტუტის დამფუძნებელი; ფსიქომეტრული და საკონსულტაციო ასოციაციის პრეზიდენტი; საგანმანათლებლო პოლიტიკისა და კვლევების ასოციაციის საბჭოს წევრი; საქართველოს ადრეული ინტერვენციის კოალიციის წევრი; საქართველოს უნივერსიტეტების სტუდენტთა ფსიქოლოგიური კონსულტაციის ცენტრების ასოციაციის თანადამფუძნებელი - საბჭოს წევრი.
30.	თეონა ყაჭეიშვილი	ა(ა)იპ „მშობელთა ხიდი“	ა(ა)იპ „მშობელთა ხიდის“ თავმჯდომარე - საბჭოს წევრი.

დანართი N2

სპეციალური განათლების (მასწავლებლის განათლება) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის

უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი

უმაღლესი განათლების II საფეხური

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VII დონე

2025

I. შესავალი

სპეციალური განათლების (მასწავლებლის განათლება) რეგულირებადი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებელი არის აკადემიური განათლების სტანდარტი, რომელიც ეფუძნება საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს, უმაღლესი განათლების ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს, მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს, შრომის ბაზრის მოთხოვნებს, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე მოქმედ სტანდარტებს, საუკეთესო პრაქტიკასა და საკანონმდებლო მოთხოვნებს; ემსახურება განათლების სისტემისადმი საზოგადოების მუდმივად ცვალებადი მოთხოვნების ასახვასა და მათი შესაბამისი, განახლებადი კვალიფიკაციების აღწერის სტიმულირებას.

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სპეციალური განათლების (მასწავლებლის განათლება) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის მისანიჭებლად აუცილებელი სწავლის შედეგების მინიმალური მოთხოვნები, მათ მისაღწევად საჭირო სწავლების, სწავლისა და შეფასების მიდგომები/მეთოდები, რესურსები და სხვა არსებითი მახასიათებლები.

დარგობრივი მახასიათებელი აწესებს მინიმალურ სტანდარტს კურსდამთავრებულთა სწავლის შედეგებთან მიმართებით, თუმცა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები უფლებამოსილნი არიან პროგრამის შინაარსიდან და მიზნებიდან გამომდინარე, საუკეთესო ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულზე მეტი და მრავალფეროვანი სწავლის შედეგები განსაზღვრონ.

ინგლისურ ენაზე დარგობრივი მახასიათებლის დასახელებაა: Subject Benchmark Statement of Special Education (Teacher Education).

დარგობრივი მახასიათებლის მოქმედების ვადაა 7 (შვიდი) წელი.

სპეციალური განათლების (მასწავლებლის განათლება) უმაღლესი განათლების II საფეხურის დარგობრივი მახასიათებლის მიზანია, ხელი შეუწყოს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას, სტუდენტთა მობილობას, მინიჭებული კვალიფიკაციის საერთაშორისო დონეზე აღიარებას, სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდოლოგიის დანერგვას; კომპეტენტური კონკურენტუნარიანი სპეციალური მასწავლებლის ჩამოყალიბებას და მათ შემდგომ პროფესიულ განვითარებას; კარიერულ წინსვლასა და დასაქმებას; უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე სწავლის გაგრძელებას; აგრეთვე, სპეციალური განათლების სფეროში ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამების მოქნილობასა და მრავალფეროვნებას.

აღნიშნული დარგობრივი მახასიათებელი აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობის სპექტრს, რომლებსაც სტუდენტი გამოიმუშავებს სპეციალური განათლების

(მასწავლებლის განათლება) სწავლის სფეროს შესაბამისი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისას.

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლის გაცნობა რეკომენდებულია:

- იმ პირთათვის, რომლებიც ჩართულნი არიან სპეციალური განათლების (მასწავლებლის განათლება) სწავლის სფეროს შესაბამისი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ან/და საგანმანათლებლო პროგრამების კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შემუშავებაში, განხორციელებასა და განხილვაში.
- აბიტურიენტისათვის, რომელსაც სურს, შეისწავლოს სპეციალური განათლება;
- სტუდენტისათვის, რომელსაც აინტერესებს, რა ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს შეიძენს სპეციალური განათლების (მასწავლებლის განათლება) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ;
- დამსაქმებლისათვის, რომელსაც სურს, სპეციალური განათლების (მასწავლებლის განათლება) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულის ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების შესახებ ინფორმაციის მიღება.
- განათლების სფეროს ექსპერტთათვის, რომლებსაც პერიოდულად ევალებათ სპეციალური განათლების საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება, მონიტორინგი ან აკრედიტაციის მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა;
- აკრედიტაციის, ავტორიზაციისა და აპელაციის საბჭოს წევრებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

დარგობრივ მახასიათებელში აღწერილია სპეციალური განათლების (მასწავლებლის განათლება) სფერო, მაგისტრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად საჭირო სწავლის შედეგები, სწავლა-სწავლების, შეფასების მეთოდები და სხვა არსებითი მახასიათებლები.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები უფლებამოსილნი არიან საგანმანათლებლო პროგრამის დეტალური შინაარსი, ასევე, სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდები განისაზღვრონ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. დარგობრივ მახასიათებელთან სპეციალური განათლების (მასწავლებლის განათლება) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის მონიტორინგი შეიძლება პერიოდულად, მოქმედი აკრედიტაციის სტანდარტებისა და შესაბამისი პროცედურების საფუძველზე განხორციელდეს.

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების საფუძველია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონის აღმწერები და დასაქმების ბაზრის მოთხოვნები, ზოგადი განათლებისა და უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონებში 2022 წლის 14 დეკემბერს შეტანილი ცვლილებები, რომლის ფარგლებშიც სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს დაევალა სპეციალური განათლების (მასწავლებლის განათლება) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლის შემუშავება და დამტკიცება.

2025 წელს დარგობრივი მახასიათებლის დარგობრივ მახასიათებელში განახლდა პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობასთან დაკავშირებული ჩანაწერი წინამდებარე დოკუმენტის სწავლის სფეროს აღწერაში.

II. სწავლის სფეროს აღწერა

ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონში ინკლუზიური განათლება განმარტებულია, როგორც თანაბრად ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროცესი, რომლის ფარგლებშიც ყველა მოსწავლისთვის უზრუნველყოფილია ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით განათლების მიღება.

დარგობრივ ლიტერატურაში სპეციალური განათლება განიხილება ფართო შინაარსის მომცველ ტერმინად, რომელიც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის სერვისებისა და მხარდაჭერის ფართო სპექტრის აღსანიშნავად გამოიყენება. სპეციალური განათლების მხარდაჭერის სერვისები სხვადასხვა გარემოში შეიძლება იყოს მიწოდებული, როგორიცაა სკოლა (საკლასო გარემო, რესურსოთახი), დღის ცენტრი, რეაბილიტაციისა და აბილიტაციის ცენტრი, სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო დაწესებულება და ა.შ. სპეციალური განათლების უმთავრესი მიზანია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს დაეხმაროს მისი პოტენციალის სრულყოფილად რეალიზებაში, რაც გულისხმობს აკადემიური, სოციალური და ემოციური უნარების განვითარების ხელშეწყობასა და სსსმ პირის დამოუკიდებლად ფუნქციონირების ხარისხის გაზრდას.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები/პირები შესაძლებელია

სარგებლობდნენ მრავალფეროვანი მხარდაჭერის სერვისებით, როგორებიცაა:

- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- ინტერვენციის გეგმა;
- ტრანზიციის გეგმა;
- რთული ქცევის მართვის გეგმა;
- ასისტირების ტექნოლოგიები;
- ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი სპეციალისტების მომსახურება (სპეციალური მასწავლებელი, ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი, ენისა და მეტყველების სპეციალისტი, ჟესტური ენის თარჯიმანი, ჟესტური ენის სპეციალისტი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი, მობილობისა და ორიენტაციის სპეციალისტი და ა.შ.).

მსოფლიოს მასშტაბით შედარებით გავრცელებულია შემდეგ მდგომარეობებთან

დაკავშირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები:

- აუტიზმის სპექტრის აშლილობა;
- ინტელექტუალური განვითარების დარღვევა;
- დასწავლის უნარის დარღვევა;
- სენსორული დარღვევები;
- მოტორული დარღვევები და ფიზიკური შეზღუდვა;
- ქცევისა და ემოციური დარღვევები;
- მეტყველებისა და ენის დარღვევები;
- ჰიპერაქტივობის და ყურადღების დეფიციტის აშლილობა.

სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე, სპეციალური განათლების მომიჯნავე სფეროებია: განათლების ვიწრო სფეროში არსებული სწავლის სფეროები, ფსიქოლოგია, სოციალური მუშაობა, ოკუპაციური თერაპია, ენისა და მეტყველების თერაპია, ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია, ბავშვის მოვლა და მოზარდთა მომსახურებები; მედიცინა; სამედიცინო დიაგნოსტიკა და მკურნალობის ტექნოლოგიები.

2.1 დასაქმების შესაძლო სფერო/სფეროები

სპეციალური განათლების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები მიზნად ისახავს სტუდენტებს განუვითაროს ის უნარები, ცოდნა და ღირებულებები, რაც მათ სჭირდებათ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა სწავლებისთვს. სპეციალური განათლების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა ექნებათ საქართველის კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში დასაქმდნენ საჯარო და კერძო სკოლებში, დღის ცენტრებში, საგანმანათლებლო ცენტრებში, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სპეციალური მასწავლებლის, მკვლევრის, კონსულტანტის, ლიდერის/პროფესიული ზედამხედველის პოზიციაზე, სპეციალური განათლების მართვისა და ადმინისტრირების სფეროში სხვადასხვა სახელმწიფო, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციაში, რომლებიც ოპერირებენ სპეციალურ განათლების სფეროში ან დაინტერესებულ მხარეებს სთავაზობენ სპეციალურ საგანმანათლებლო მომსახურებას. კურსდამთავრებული ასევე შეძლებს დაკავდეს დამოუკიდებელი პრაქტიკით. სამაგისტრო პროგრამები გამოუმუშავებს მზაობას იმ გამოწვევებისთვის, რაც სხვადასხვა ტიპის საჭიროებების მქონე პირების განათლებას უკავშირდება.

2.2. სპეციალური განათლების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების გავრცელებული პროფილები

უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე სპეციალური განათლების მასწავლებლის მომზადების პროგრამები, როგორც წესი, მიზნად ისახავენ სტუდენტთა მომზადებას ცალკეული ვიწრო სპეციალიზაციის მიხედვით. სპეციალური მასწავლებლის სამაგისტრო პროგრამების მიზნებია:

- მასწავლებლის მომზადება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე/შშმ პირების საგანმანათლებლო საჭიროებების დაკმაყოფილება სხვადასხვა გარემოში;
- მასწავლებლების შესაბამისი ცოდნითა და უნარებით აღჭურვა ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებისა და განხორციელებისთვის;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა/პირთა მხარდაჭერისთვის ინკლუზიური სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა;
- სპეციალური განათლების სფეროში კვლევებზე დაფუძნებული პრაქტიკის ხელშეწყობა.
- სპეციალური განათლების სფეროში ლიდერი მასწავლებლების მომზადება;

საერთაშორისო სივრცეში სპეციალური განათლების მასწავლებლის მომზადების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები, როგორც წესი, მოიცავს შემდეგ თემებს:

- სწავლისა და განვითარების თეორიები;
- სპეციალური საჭიროებებისა და სწავლის შედეგების შეფასება;
- სწავლისა და სწავლების სტრატეგიები;
- ქცევაზე დაკვირვება და ქცევის მართვა;
- მშობლებთან და სხვა პროფესიონალებთან თანამშრომლობა;
- იურიდიული და ეთიკური საკითხები სპეციალურ განათლებაში, მათ შორის ადვოკატირება;
- უნივერსალური დიზაინი;
- კვლევა;
- და სხვ.

სპეციალური განათლების სამაგისტრო პროგრამებში გაერთიანებულია ის მნიშვნელოვანი პედაგოგიკური მეთოდოლოგია, ტექნიკები და რესურსები, რაც კურსდამთავრებულებს შესაძლებლობას მისცემს შესთავაზონ ეფექტური და ხარისხიანი განათლება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებს. აღნიშნული მიიღწევა საგანმანათლებლო თეორიებისა და პრაქტიკული კომპონენტის სინთეზის საშუალებით.

ხშირ შემთხვევაში, სპეციალური განათლების პროგრამები სტუდენტებს აძლევს საშუალებას შეარჩიონ მიმართულებები მათი ინტერესებისა და სამომავლო გეგმების შესაბამისად. პროგრამების ფარგლებში ხშირად განხილულია სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებებთან დაკავშირებული ეკონომიკური, ეთიკური, სოციალური და კულტურული ასპექტები. ასევე, პროგრამები საშუალებას აძლევს სტუდენტებს შეარჩიონ და მიიღონ განათლება კონკრეტული, ვიწრო სპეციალობით.

საერთაშორისო სივრცეში სპეციალური განათლების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების მოცულობა კრედიტებში მერყეობს 60 ECTS კრედიტიდან — 120 ECTS კრედიტამდე. პროგრამების

განხორციელების ფორმატი განსხვავდება ქვეყნებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიხედვით და ხორციელდება როგორც პირისპირ, ისე დისტანციურად ან ჰიბრიდულად.

საერთაშორისო სივრცეში სპეციალური განათლების არაერთი სამაგისტრო პროგრამა არსებობს, რომლებიც სპეციალური განათლების სფეროში ფარავენ სპეციალიზაციათა ფართო სპექტრს. სამაგისტრო პროგრამების ფოკუსირება სხვადასხვა სპეციალურ საჭიროებაზე შესაძლებელია განპირობებული იყოს შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პრიორიტეტებითა და კვლევითი ინტერესებით, აგრეთვე ცალკეული ქვეყნის პოლიტიკით სპეციალური განათლების სფეროში და დასაქმების ბაზრის მოთხოვნებით.

სპეციალური განათლების მასწავლებლის მომზადებაზე ორიენტირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების გავრცელებული პროფილებია:

- სპეციალური საჭიროებები და თანასწორობა;
- დასწავლის სირთულეები;
- დისლექსია და წიგნიერების სირთულეები;
- აუტიზმის სპექტრის აშლილობა;
- დაუნის სინდრომი;
- მცირემხედველ და უსინათლო პირთა სწავლება;
- მცირემსმენელ და ყრუ პირთა სწავლება;
- კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების დარღვევების კვლევები;
- მეტყველების თერაპია;
- სპეციალური საჭიროებების მქონე პირთა სკოლამდელი განათლება, პროფესიული განათლება, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლა;
- ნიჭიერი ბავშვების სწავლება;
- მრავლობითი და მძიმე ინტელექტუალური დარღვევები;
- ემოციური და ქცევითი დარღვევები;
- სენსორული და მოტორული დარღვევები;
- ცენტრალური ნერვული სისტემის შეძენილი დარღვევა;
- სოციალური ან სხვა გარემო ფაქტორებით განპირობებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები.

აღნიშნული პროგრამები შერჩეული პროფილის შესაბამისად ორიენტირებულნი არიან სტუდენტებს გააცნონ სპეციალური საჭიროების შესაბამისი სახეობის/სახეობების ბუნება და სპეციფიკა, ასევე შეასწავლონ შეფასების და ინტერვენციის სტრატეგიებისა და სსსმ ან/და შშმ მოსწავლეთა/პირთა ინკლუზიური, განმავითარებელი და მხარდამჭერი სასწავლო გარემოს შექმნა.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო გამოცდილებით სპეციალური განათლების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად ასევე განსაზღვრულია არანაკლებ 3.0 GPA

ქულა, უცხო ენის არანაკლებ B2 დონეზე ფლობა. სპეციალური განათლების ყველა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს პრაქტიკას, რომელიც რიგ შემთხვევაში ორკომპონენტიანია და უკავშირდება სტუდენტის კვლევითი ინტერესების სფეროს.

ეროვნული კონტექსტის გათვალისწინებითა და დასაქმების ბაზრის მოთხოვნებიდან და არსებული ვითარებიდან გამომდინარე დარგობრივი მახასიათებლის შემმუშავებელმა საბჭომ მიზანშეწონილად სცნო სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება შედარებით ფართო ჭრილში, კერძოდ: მხედველობის დარღვევების; სმენის დარღვევების; მრავლობითი და მძიმე ინტელექტუალური დარღვევებისა და დასწავლისა და კომუნიკაციური დარღვევების მიმართულებით.

- **მხედველობის დარღვევებზე ორიენტირებული სპეციალური განათლების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები**

მხედველობის დარღვევებზე ორიენტირებული სპეციალური განათლების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებმა უნდა უზრუნველყონ მაღალკვალიფიციური სპეციალურ მასწავლებლების მომზადება უსინათლო ან მხედველობადაქვეითებულ მოსწავლეებთან მუშაობისთვის. პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს უნდა განუვითარდეთ ცოდნა და უნარები საკლასო ოთახში ოპტიკურ და სხვა სახის დამხმარე საშუალებებისა და ბრაილის შრიფტის გამოყენებასთან დაკავშირებით, კურსდამთავრებულებს უნდა შეეძლოთ მხედველობის დარღვევების იდენტიფიცირება და შეფასება, მხედველობის დარღვევის მახასიათებლების განსაზღვრა. სიღრმისეულად უნდა იცნობდნენ მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლების მეთოდებსა და სტრატეგიებს, უნდა ჰქონდეთ კომპეტენცია ორიენტაცია-მობილობის მიმართულებით და განუვითარდეთ თანამშრომლობის უნარები უსინათლო და მხედველობადაქვეითებული მოსწავლეების მშობლებთან და სხვა სპეციალისტებთან.

- **სმენის დარღვევებზე ორიენტირებული სპეციალური განათლების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები**

სმენის დაქვეითების მიმართულებაზე სპეციალიზებული პროგრამის კურსდამთავრებულმა მნიშვნელოვანია იცოდეს ყრუ ან სმენადაქვეითებულ მოსწავლეთა სწავლისა და სწავლების სირთულეები. პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს უნდა განუვითარდეთ კომპეტენციები სმენის დაქვეითების მახასიათებლების განსაზღვრისა და შეფასების, აუდიოლოგიური რეაბილიტაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის, ჟესტების ენისა და დამხმარე ტექნოლოგიების მიმართულებით. კურსდამთავრებულები უნდა ფლობდნენ სიღრმისეულ ცოდნას სმენის დარღვევის მქონე მოსწავლეების სწავლების მეთოდებთან და სტრატეგიებთან დაკავშირებით. შესაბამისი პროფილის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულმა უნდა შეძლოს სმენის დარღვევის მქონე მოსწავლის მშობლებთან და სხვა პროფესიონალებთან თანამშრომლობა;

- **მრავლობითი და მძიმე ინტელექტუალურ დარღვევებზე ორიენტირებული სპეციალური განათლების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები**

აღნიშნული დარგის სპეციალისტმა მნიშვნელოვანია იცოდეს, რომ მრავლობითი და მძიმე ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლეებს/პირებს სწავლის სირთულეები და მკაფიოდ გამოხატული განვითარების შეფერხება თითქმის ყველა სფეროში აღენიშნებათ. მათ შესაძლოა, ასევე ჰქონდეთ სენსორული დარღვევა ან/და ჯანმრთელობის რაიმე ფორმის სირთულე. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სპეციალური განათლების მასწავლებელს შეეძლოს პრიორიტეტული სასწავლო მიზნების გამოყოფა და სპეციალისტებთან თანამშრომლობის გზით ისეთი სასწავლო პროგრამის შედგენა და განხორციელება, რომელიც უზრუნველყოფს პირის დამოუკიდებლად ფუნქციონირების ხარისხის გაზრდას. ასევე, შესაბამისი პროფილის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულმა უნდა შეძლოს მრავლობითი და მძიმე ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლის/პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სასწავლო პროცესში თანამონაწილეობის და მიღწევის უფლების უზრუნველყოფა და დაცვა.

- **დასწავლისა და კომუნიკაციურ დარღვევებზე ორიენტირებული სპეციალური განათლების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები**

დასწავლისა და კომუნიკაციურ დარღვევებზე ორიენტირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები ამზადებენ სპეციალურ მასწავლებლებს დასწავლისა და კომუნიკაციის სხვადასხვა დარღვევის მქონე მოსწავლეებთან მუშაობისთვის, დასწავლის სირთულეების მიმართულებით მომზადება გულისხმობს სტუდენტების ცოდნით აღჭურვას შემდეგი სპეციფიკური დარღვევების მიმართულებით: დისლექსია, დისკალკულია, დისგრაფია, დისპრაქსია, ენის, მეტყველებისა და კომუნიკაციის დარღვევები. პროგრამის კურსდამთავრებულებმა მნიშვნელოვანია იცოდნენ დასწავლისა და კომუნიკაციის სხვადასხვა სირთულის მახასიათებლები და მათი გავლენა მოსწავლის სწავლასა და სოციალურ-ემოციურ განვითარებაზე, მოსწავლეთა საგანმანათლებლო და კომუნიკაციის საჭიროებების გამოვლენა და შეფასება, შესაბამისი დარღვევის მქონე მოსწავლეთათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება და განხორციელება. აღნიშნული დარღვევის მქონე მოსწავლეების მშობლებთან და სხვა პროფესიონალებთან თანამშრომლობა.

სპეციალური განათლების (მასწავლებლის განათლება) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა:

ა) არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი სპეციალურ განათლებაში ან მის მომიჯნავე სფეროში;

ბ) მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად მინიჭებული განათლების მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი (ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების სწავლების უფლების მითითებით) და ამ პროგრამის ფარგლებში გავლილი არანაკლებ 60 ECTS კრედიტის მოცულობის სპეციალური მასწავლებლის მომზადების მოდული;.

გ) სპეციალური განათლების მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამის სერტიფიკატის ფლობა;

დ) განათლების მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი (ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების სწავლების უფლების მითითებით);

ე) არანაკლებ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და საგანმანათლებლო ინსტიტუციებში (სკოლები, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები და ა.შ.), დღის ცენტრებში, აბილიტაცია/რეაბილიტაციის, განვითარებისა და ინტერვენციის ცენტრები და ა.შ. სააღმზრდელო ან/და სწავლა-სწავლების/ პროცესში ჩართულობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი/ცნობა, შესაბამისი სამუშაო აღწერილობით, რომელიც დამსაქმებლის მიერ იქნება გაცემული.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია სპეციალური განათლების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვებისთვის განსაზღვროს სხვა დამატებითი წინაპირობები.

სფეროს მარეგულირებელი დოკუმენტები:

- საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ;
- საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ;
- „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 21 ნოემბრის N1014 ბრძანება;
- „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის N241 დადგენილება;
- საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის ბრძანება N16/ნ „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე“;
- „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40 ბრძანება;
- „საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის თაობაზე“ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 28 სექტემბრის N126/ნ ბრძანება;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია;

- იუნესკოს სალამანკას დეკლარაცია;
- ბავშვთა უფლებების კონვენცია;
- 2014 წლის 27 ივნისის საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება;
- საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ;
- 2020 წლის 1 სექტემბრის „ბავშვის უფლებების კოდექსი";
- საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი";
- და სხვ.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: განათლების მაგისტრი სპეციალურ განათლებაში ან სპეციალური განათლების მაგისტრი.

III. სწავლის შედეგები

დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიმართულია იმ ცოდნისა და უნარების შეძენა/განვითარებისკენ, რომლებიც სტუდენტს მოეთხოვება შესაბამისი საფეხურის დასრულებისას.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებში გაითვალისწინოს წინამდებარე თავში განსაზღვრული სწავლის საერთო შედეგები სპეციალური განათლების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მიმართულებისთვის და ასევე, ამავე თავში განსაზღვრულია დამატებითი სწავლის შედეგები შესაბამის სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის. ამასთან, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ საერთაშორისო პრაქტიკისა და დარგის უახლესი მიღწევების/გამოცდილების, ასევე (არსებობის შემთხვევაში) უცხოური პარტნიორი დაწესებულებების რეკომენდაციების საფუძველზე, შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, შესაძლებელია საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სხვა დამატებითი სწავლის შედეგებიც განსაზღვროს.

3.1. სპეციალური განათლების რეგულირებადი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის საერთო სავალდებულო სწავლის შედეგები ყველა მიმართულებისთვის

ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებული:

- ამჟღავნებს ღრმა და სისტემურ ცოდნას ინკლუზიური განათლების, მათ შორის სპეციალური განათლების, არსის, მისი ძირითადი პრინციპებისა და მახასიათებლების, აგრეთვე განვითარებისა და სწავლის თეორიების შესახებ და მსჯელობს პიროვნებისა და ჯგუფის განათლებასა და განვითარებაზე მოქმედ ფაქტორებთან დაკავშირებით;

- აღწერს და მსჯელობს ბავშვის ფსიქიკური და ფიზიკური განვითარების კანონზომიერებებზე ინდივიდუალური და კონტექსტუალური ფაქტორების გათვალისწინებით;

- ავლენს სფეროში აპრობირებული დარგობრივი ტერმინოლოგიის, ინკლუზიური განათლების სფეროში მოქმედი ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების, ინკლუზიური განათლების სფეროში კონსულტირებისა და სუპერვიზიის პრინციპების სიღრმისეულ ცოდნას და განიხილავს ICF ფუნქციონირების, შეზღუდული შესაძლებლობის და ჯანმრთელობის საერთაშორისო კლასიფიკაციასა და სფეროს სამართლებრივი რეგულაციებს;

- ამჟღავნებს კომპლექსურ ცოდნას ბავშვის მიერ ენის ათვისების თავისებურებებსა და კომუნიკაციასთან დაკავშირებულ საჭიროებებზე და განმარტავს გამოცდილების/ინტერაქციის/ინტერვენციის მნიშვნელობას ბავშვის განვითარება/განათლებისთვის;

- მსჯელობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობების გამომწვევ მიზეზებსა და რისკ-ფაქტორებზე, ადრეული ინტერვენციისა და პრევენციის მნიშვნელობაზე.

უნარი

კურსდამთავრებული:

- ითვალისწინებს ფაქტორებს რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიონ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლებაზე და ეწევა სსსმ მოსწავლეების უფლებათა ადვოკატირებას, ეთიკური, სამართლებრივი და სოციალური საკითხების გათვალისწინებით, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიონ სსსმ მოსწავლეთა განათლებაზე;

- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისთვის იყენებს ეროვნულ სასწავლო გეგმას და/ან გაფართოებულ ალტერნატიულ და/ან სენსორულ და/ან დაწევისა და დაჩქარებული სწავლების გეგმებს და მულტიდისციპლინურ გუნდთან ერთად შეიმუშავებს ინტერვენციის გეგმას;

- მონაწილეობს საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავებაში ინკლუზიური განათლების განვითარების მიმართულებით;

- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა სწავლის ხელშეწყობისა და საზოგადოებასთან ინტეგრაციის მიზნით თანამშრომლობს ყველა დაინტერესებულ და სერვისის მიმწოდებელ მხარესთან (ინტერდისციპლინურ და მულტიდისციპლინურ გუნდებთან, ინკლუზიური განათლების სფეროში ჩართულ სხვადასხვა სპეციალისტთან, კანონიერ წარმომადგენლებთან, ოჯახებთან და ა.შ);

- შეარჩევს და იყენებს მტკიცებულებაზე დაფუძნებულ ინსტრუქციულ სტრატეგიებს (მათ შორის ინდივიდუალური ან დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა სწავლებისა და სწავლის ხელშეწყობისთვის;

- ამოიცნობს ინდივიდის სავარაუდო სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებას, შეფასებას განახორციელებს ვალიდური ინსტრუმენტებით, სსსმ პირის სტატუსის მინიჭების და/ან საგნობრივი და ადაპტური ფუნქციონირებისთვის საჭირო კომპეტენციების დადგენის და/ან შემდგომი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროცესის დაგეგმვისა და პროგრესის მონიტორინგისთვის და საჭიროებისამებრ უზრუნველყოფს დროულ რეფერირებას შესაბამის სპეციალისტთან;

- ახდენს სხვა სპეციალისტების (მაგ.: შესაბამისი პროფილის ექიმის, ენისა და მეტყველების თერაპევტის, ოკუპაციური თერაპევტის, ქცევითი თერაპევტის და ა.შ.) შეფასების შედეგების ინტერპრეტაციას და ითვალისწინებს მუშაობის პროცესში;

- იყენებს ქცევის მართვის სტრატეგიების სიღრმისეულ ცოდნას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა სოციალური ინტეგრაციისა და ინკლუზიის ხელშეწყობისთვის; ქცევითი და ემოციური სირთულეების პრევენციის მიზნით აანალიზებს მოსწავლის/პირის ინდივიდუალურ და კონტექსტუალურ მახასიათებლებს;

- საჭიროებისამებრ იყენებს სხვადასხვა სახის დამხმარე ან/და გამაძლიერებელ საშუალებებს/ტექნოლოგიებს; მონაწილეობს საგანმანათლებლო სისტემის სხვადასხვა საფეხურზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ტრანზიციის გეგმის შემუშავებასა და განხორციელებაში;

- ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებით გეგმავს, ახორციელებს ან/და მონაწილეობს საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებში და ამ მიმართულებით ხელს უწყობს სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა კომპეტენციების გაძლიერებას.

- ინკლუზიური განათლების პროცესის ეფექტიანად დაგეგმვის მიზნით, შეიმუშავებს მონიტორინგის მექანიზმებს ინდივიდუალურ და ინსტიტუციონალურ დონეზე;

- სასწავლო პროცესის ორგანიზებისას ითვალისწინებს სწავლის უნივერსალური დიზაინის პრინციპებს, უსაფრთხოების საკითხებს და ახდენს გარემოსა და რესურსების აკომოდაციას;

- ქმნის უსაფრთხო, ინკლუზიურ და ტოლერანტულ საგანმანათლებლო გარემოს, რომელიც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს/პირებს აძლევს საგანმანათლებლო პროცესში ეფექტიანად ჩართვის შესაძლებლობას და მოსწავლეებს/პირებს უვითარებს ემოციური კეთილდღეობის, პოზიტიური სოციალური ინტერაქციისა და თვითგამორკვევის უნარებს;

- სიღრმისეულად აანალიზებს სფეროში არსებულ კვლევებს და შესაბამის მეთოდოლოგიას და მათ მნიშვნელობას პროფესიული პრაქტიკისა და სფეროს განვითარებაში;

- ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენებით ქმნის კვლევით ნაშრომს/პროექტს და ზეპირი და წერილობითი ფორმით წარუდგენს მას დაინტერესებულ საზოგადოებას;

- სწავლის უნივერსალური დიზაინის პრინციპების დანერგვის მიზნით საგანმანათლებლო დაწესებულებას, საჯარო და კერძო ორგანიზაციებს უწევს კონსულტირებას ან/და სუპერვიზიას.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

კურსდამთავრებული:

- მუშაობს მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრაქტიკის პრინციპების საფუძველზე, არგუმენტირებულად ასაბუთებს საკუთარ მოსაზრებებს;

- ავლენს მიმღებლობას განსხვავებულობისადმი, მათ შორის, კულტურების, აზრისა და იდეებისადმი და ა.შ.;

- იცავს პროფესიული ეთიკის პრინციპებს;

- საკუთარი პრაქტიკის ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებისა და რეფლექსიის საფუძველზე გეგმავს და მართავს საკუთარ და გუნდის წევრთა პროფესიულ განვითარებას.

3.2. დამატებითი სწავლის შედეგები მრავლობითი და მძიმე ინტელექტუალური დარღვევის მიმართულებით სპეციალური განათლების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებული:

- ამჟღავნებს ღრმა და სისტემურ ცოდნას მრავლობითი და მძიმე ინტელექტუალური დარღვევების მქონე მოსწავლეების, კომუნიკაციის საჭიროებების, მათი შეფასების და მხარდაჭერის შესაბამისი სისტემების შესახებ, მათ შორის ალტერნატიული და აუგმენტური კომუნიკაციის და დამხმარე ტექნოლოგიების გამოყენებისა და დანერგვის შესახებ;

- განსაზღვრავს რა გავლენას ახდენს გარემოში არსებული მოლოდინები მრავლობითი და მძიმე ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლის აკადემიურ მიღწევასა და ქცევაზე.

უნარი

კურსდამთავრებული:

- მრავლობითი და მძიმე ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლის უნარების შეფასების შესახებ არსებული ინფორმაციის საფუძველზე განსაზღვრავს და არგუმენტირებულად ასაბუთებს სსსმ მოსწავლის პრიორიტეტულ საგანმანათლებლო საჭიროებებს;

- მრავლობითი და მძიმე ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლისთვის იყენებს კოგნიტურ და საბაზო აკადემიური უნარების განვითარებისთვის საჭირო თანამედროვე მიდგომებსა და სწავლების სტრატეგიებს, რაც ემსახურება მოსწავლის დამოუკიდებლად ფუნქციონირების ხარისხის გაზრდას;

- სწავლის უნივერსალური დიზაინის პრინციპების გათვალისწინებით მრავლობითი და მძიმე ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლისთვის ალტერნატიული სასწავლო გეგმის, სენსორული სასწავლო გეგმის საფუძველზე ადგენს და ახორციელებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, ინტერვენციის გეგმას და გასცემს რეკომენდაციებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფის წევრებისთვის.

3.3. დამატებითი სწავლის შედეგები მხედველობის დარღვევების მიმართულებით სპეციალური განათლების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებული:

- განასხვავებს მხედველობის დარღვევებს და ავლენს სიღრმისეულ ცოდნას მათ გავლენაზე მოსწავლის განვითარებაზე, სწავლასა და დამოუკიდებელ ფუნქციონირებაზე;
- ავლენს ღრმა და სისტემურ ცოდნას მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეთა განათლების მოდელებისა და ფორმების შესახებ;
- ახდენს მხედველობის დარღვევის იდენტიფიცირების/დიაგნოსტიკის ინსტრუმენტების სპეციფიკის (ტესტები, რომლითაც ფასდება მხედველობის სიმახვილე; მხედველობის ველი და ა.შ) ცოდნის დემონსტრირებას;
- ავლენს ღრმა და სისტემურ ცოდნას სხვადასხვა სახის დამხმარე ან/და გამაძლიერებელ საშუალებების/ ტექნოლოგიების შესახებ, რომელსაც მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეები/ პირები გამოიყენებენ;
- ამჟღავნებს ბრაილის შრიფტის საბაზისო ცოდნას;
- ამჟღავნებს კომპლექსურ ცოდნას მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვის მიერ ენის ათვისების თავისებურებებსა და კომუნიკაციასთან დაკავშირებულ საჭიროებებზე.

უნარი

კურსდამთავრებული:

- სხვადასხვა სახის მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეთა ჯგუფისთვის გეგმავს გაკვეთილს დიფერენცირებული სწავლების პრინციპების გამოყენებით;
- ადაპტური შესაძლებლობების ხელშეწყობის, მათ შორის მობილობისა და ორიენტაციის სტრატეგიების შესახებ სიღრმისეული ცოდნის საფუძველზე კონსულტაციას უწევს მობილობისა და ორიენტაციის სპეციალისტს.

3.4. დამატებითი სწავლის შედეგები სმენის დარღვევების მიმართულებით სპეციალური განათლების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებული:

- განასხვავებს სმენის დარღვევებს და ავლენს სიღრმისეულ ცოდნას მათ გავლენაზე მოსწავლის განვითარებაზე, სწავლასა და დამოუკიდებელ ფუნქციონირებაზე;
- ავლენს ღრმა და სისტემურ ცოდნას სმენის დარღვევის მქონე პირთა განათლების მოდელებისა და ფორმების შესახებ;
- ახდენს სმენის დარღვევის იდენტიფიცირების/დიაგნოსტიკის ინსტრუმენტების სპეციფიკის (ტესტები, რომლითაც ფასდება სმენის სიმახვილე და ა.შ) ცოდნის დემონსტრირებას;
- ავლენს ღრმა და სისტემურ ცოდნას სხვადასხვა სახის დამხმარე ან/და გამაძლიერებელი საშუალებების/ტექნოლოგიების შესახებ, რომელსაც სმენის დარღვევის მქონე მოსწავლეები გამოიყენებენ;
- ავლენს ჟესტური ენის ცოდნას ბაზისურ საკომუნიკაციო დონეზე;
- ავლენს სმენის დარღვევის მქონე მოსწავლეთა/ პირთა ბილინგვური და მეტყველების განვითარების ხელშემწყობი სწავლების სტრატეგიების ღრმა და სისტემურ ცოდნას;
- ამჟღავნებს კომპლექსურ ცოდნას სმენის დარღვევის მქონე ბავშვის მიერ ენის ათვისების თავისებურებებსა და კომუნიკაციასთან დაკავშირებულ საჭიროებებზე.

უნარი

კურსდამთავრებული:

- გეგმავს სხვადასხვა სახის სმენის დარღვევის მქონე მოსწავლეთა ჯგუფისთვის გაკვეთილს დიფერენცირებული სწავლების პრინციპების, მათ შორის ბილინგვური განათლების მიდგომის გამოყენებით და სწავლების პროცესში თანამშრომლობს ჟესტური ენის თარჯიმანთან.

3.5 დამატებითი სწავლის შედეგები დასწავლის და კომუნიკაციური დარღვევების მიმართულებით სპეციალური განათლების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებული:

- ახდენს კომპლექსური ცოდნის დემონსტრირებას დასწავლის უნარის დარღვევის, კომუნიკაციის, მეტყველებისა და ენის დარღვევების, მახასიათებლების, სადიაგნოსტიკო კრიტერიუმების და შეფასების პრინციპების შესახებ;

- ამჟღავნებს ღრმა და სისტემურ ცოდნას დასწავლის უნარის დარღვევის, კომუნიკაციის, მეტყველებისა და ენის დარღვევების მქონე პირთა საგანმანათლებლო საჭიროებების, მათი შეფასების და მხარდაჭერის შესაბამისი სისტემების შესახებ, სწავლების მეთოდოლოგიის, სწავლების სტრატეგიების, ინტერვენციის მოდელების, და დამხმარე (მათ შორის ალტერნატიული და აუგმენტური კომუნიკაციის) ტექნოლოგიების შესახებ;

უნარი

კურსდამთავრებული:

- აფასებს დასწავლის უნარის დარღვევის და/ან კომუნიკაციური დარღვევის მქონე პირს;

- შეარჩევს სწავლების შესაბამის მეთოდოლოგიას, და მოცემულ მეთოდებთან და სწავლების სტრატეგიებთან დაკავშირებით დაინტერესებულ მხარეებს უწევს კონსულტაციას.

IV. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით დეტალურ სფეროში: 0113.1.1 სპეციალური განათლება (მასწავლებლის განათლება) „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ენიჭება კვალიფიკაცია განათლების მაგისტრი Master of Education (*ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის ან მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში (*ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების სწავლების უფლების მითითებით, მათ შორის დაწყებითი განათლება და სპეციალური განათლება*).*

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, სპეციალური განათლების (მასწავლებლის განათლება) სწავლის სფეროს შესაბამისი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია შემდეგი კვალიფიკაციის მინიჭება:

- *განათლების მაგისტრი სპეციალურ განათლებაში* Master of Education in Special Education

ან

- სპეციალური განათლების მაგისტრი -Master of Special Education.

კვალიფიკაცია - „განათლების მაგისტრი სპეციალურ განათლებაში" როგორც წესი ენიჭება შედარებით ფართო/ზოგადი შინაარსის საგანმანათლებლო პროგრამებში, სადაც სპეციალური განათლების სიღრმისეულ შესწავლასთან ერთად, აქცენტი კეთდება აკურიკულუმის/საგნების/კურსების შემუშავებასა და განვითარებაზე, საგანმანათლებლო ლიდერობისა და ინსტრუქციულ სტრატეგიების სწავლებასა და კვლევითი უნარების გამომუშავებაზე.

სპეციალური განათლების მაგისტრის კვალიფიკაცია სპეციალიზებული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ენიჭება. რომელიც ორიენტირებულია კონკრეტული სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებების შესწავლაზე, სსსმ ბავშვების სწავლისთვის ინტერვენციების, სტრატეგიების, გარემოს მოწყობის და შეფასების მეთოდების სწავლებასა და კვლევაზე.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლა განათლების შემდგომ საფეხურზე (დოქტორანტურაში) გააგრძელოს.

სპეციალური განათლების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში, საერთაშორისო სივრცეში მისანიჭებელი კვალიფიკაციები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

- სპეციალური განათლების მაგისტრი;
- განათლების მაგისტრი სპეციალურ განათლებაში (სპეციალიზაციის მითითებით ან მის გარეშე);
- მეცნიერებათა მაგისტრი სპეციალურ განათლებაში;
- მაგისტრი დეტალური სწავლის სფეროს მითითებით;
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი სპეციალურ განათლებაში;
- და სხვ.

V. სწავლება, სწავლა და შეფასება

სპეციალური განათლების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სწავლების ერთიანმა კურსმა უნდა დააბალანსოს თეორიული და პრაქტიკული ასპექტები, უზრუნველყოს დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული მინიმალური სწავლის შედეგების მიღწევა და მომავალი სპეციალისტების მომზადება პროფესიული საქმიანობისთვის, რაც პრაქტიკული უნარების, სამეცნიერო ცოდნისა და კვლევის მეთოდების სათანადო გამოყენებას მოითხოვს.

სპეციალური განათლების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლება-სწავლისა და შეფასებისას უნდა ეფუძნებოდეს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს. სწავლება–სწავლის მეთოდები, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, უნდა უზრუნველყოფდეს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

სწავლებისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს შემდეგი ფორმები და მეთოდები:

- ლექცია, სემინარი;
- ევრისტიკული მეთოდი;
- პრაქტიკული მუშაობა (სემინარი, სასწავლო/საველე პრაქტიკა);
- დამოუკიდებელი მუშაობა;
- ელექტრონული რესურსებით სწავლება;
- დისკუსია/დებატები;
- ჯგუფური მუშაობა;
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება;
- შემთხვევის ანალიზი;
- სუპერვიზია;
- გონებრივი იერიში;
- რეფლექსიური პრაქტიკა;
- Result ფორმატი;
- სიტუაციის მოდელირება, სიმულაცია და როლური თამაშები; • ესეს, რეფერატის, პრეზენტაციის მომზადება;
- და სხვ.

პროგრამაზე ჩარიცხული პირის შეფასების კომპონენტები და მეთოდები პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული შეფასების ფორმები (აქტივობა, შუალედური

და დასკვნითი შეფასება) შესაძლებელია მოიცავდეს შეფასების კომპონენტებს, რომლებიც განსაზღვრავს ჩარიცხული პირის ცოდნის, უნარის და კომპეტენციის შეფასების შემდეგ საშუალებებს:

- ზეპირი გამოცდა;
- წერითი გამოცდა;
- ზეპირი გამოკითხვა;
- წერითი გამოკითხვა;
- საშინაო დავალება;
- პრეზენტაცია;
- წერილობითი ნაშრომი;
- პრაქტიკული სამუშაო;
- პრაქტიკის ანგარიში;
- შემთხვევის ანალიზი
- პორტფოლიო;
- კვლევითი ნაშრომი/პროექტი/სამაგისტრო ნაშრომი;
- და სხვ.

პროგრამაში შემავალი თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული შეფასების კომპონენტები შესაძლებელია აერთიანებდეს შეფასების შემდეგ მეთოდებს:

- ტესტი;
- ქვიზი;
- ღია კითხვა;
- ესე;
- პრეზენტაცია;
- დემონსტრირება;
- მოხსენება;
- სასემინარო მოხსენება;
- რეფერატი (წერითი ნაშრომი);
- კითხვა–პასუხი;
- პრაქტიკული დავალების შესრულება;
- თეორიული დავალების შესრულება;
- ჯგუფური დავალების შესრულება;
- დისკუსია–დებატებში მონაწილეობა;
- პრაქტიკის ანგარიში;
- შემთხვევის შესწავლა და ანალიზი;
- პორტფოლიო;

- კვლევის/პროექტის ანგარიშის/სამაგისტრო ნაშრომის მომზადება;
- და სხვ.

პროგრამებში პრაქტიკული კომპონენტი ემსახურება პროგრამაზე ჩარიცხული პირების პრაქტიკული უნარების განვითარებას და პროგრამის განუყოფელი ნაწილია. სპეციალური მასწავლებლის მომზადების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა უნდა მოიცავდეს სასკოლო პრაქტიკას არანაკლებ **20 ECTS** კრედიტის მოცულობით. დამატებით, პროგრამის ფარგლებში ასევე შესაძლებელია გათვალისწინებული იყოს სასწავლო კურსებში ჩაშენებული პრაქტიკა.

VI. დამატებითი ინფორმაცია

6.1. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირების კვალიფიკაცია

სპეციალური განათლების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება შესაძლებელია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესაბამისი რაოდენობისა და კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალის და მოწვეული სპეციალისტების ჩართულობით, რომლებიც სათანადო გამოცდილებითა და კომპეტენციებ-ით უზრუნველყოფენ პროგრამის სტაბილურ, ეფექტიან ფუნქციონირებას და განვითარებას, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

პრაქტიკის კომპონენტის განხორციელებაში ჩართული პირების კვალიფიკაცია:

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პრაქტიკის კომპონენტის ხელმძღვანელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს: არანაკლებ მაგისტრის აკადემიური ხარისხი სპეციალური განათლების, განათლების ან/და ფსიქოლოგიის მიმართულებით, და ინკლუზიური განათლების სფეროში სწავლების ან/და მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში პრაქტიკის განხორციელებაში ჩართული პირი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს: ინკლუზიური განათლების სფეროში სწავლების ან/და მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება, არანაკლებ უფროსი მასწავლებელი ან/და უფროსი სპეციალური მასწავლებელი ან/და ფსიქოლოგი.

პრაქტიკის კომპონენტი ასევე შესაძლებელია განხორციელდეს საგანმანათლებლო ფუნქციის მქონე პარტნიორ დაწესებულებებში, მათ შორის სკოლებში, ასევე საგანმანათლებლო კურსებში ჩაშენებული პრაქტიკის განხორციელება შესაძლებელია იმ ორგანიზაციებში, რომლებიც ახორციელებენ სსსმ და შშმ პირების სწავლებას ან/და დამატებითი სერვისების მიწოდებას

(ადრეული განვითარების პროგრამა, აუტიზმის პროგრამა, შშმ პირთა დღის ცენტრები, აბილიტაცია რეაბილიტაციისა და ინტერვენციის ცენტრები და სხვა).

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულება თავად განსაზღვრავს პრაქტიკის განხორციელების ადგილს არსებული რესურსების, ინფრასტრუქტურის და საგანმანათლებლო პროგრამების მიზნის, შინაარსისა და შედეგების მიღწევის გზების გათვალისწინებით.

6.2 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სპეციალური განათლების (მასწავლებლის განათლება) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით უნდა არსებობდეს აუცილებელი ინვენტარით და ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი სასწავლო ფართი, რაც აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს და პროგრამაზე ჩარიცხულ პირებს სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელ პირობებს შეუქმნის.

საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ პროგრამაზე ჩარიცხული პირებისთვის უნდა უზრუნველყოს:

- საინფორმაციო–ტექნოლოგიური და სხვა სახის მატერიალურ–ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი კაბინეტები და აუდიტორიები;
- მუდმივად განახლებად წიგნად ფონდზე, საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებსა და სხვა შესაბამის სასწავლო მასალებზე წვდომა;
- შესაბამისი სასწავლო მულტიმედიური მასალები;
- სხვა/დამატებითი რესურსები და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების, პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებას.

VII. დარგობრივი მახასიათებლის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები

N	სახელი, გვარი	ორგანიზაცია/დაწესებულება	თანამდებობა
1.	ქეთევან აფთარაშვილი	შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი	განათლების მეცნიერებების დოქტორი, შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი, სკოლამდელი

			განათლების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი, განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე.
2.	ნათია ნიაური	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ; საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის ხელშეწყობის ქვეპროგრამის მულტიდისციპლინური გუნდის სპეციალური მასწავლებელი; „სპეციალური განათლების პედაგოგთა ასოციაციის" დამფუძნებელი - საბჭოს მდივანი.
3.	თამარ აბაშიძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფსიქოლოგიის დოქტორი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს წევრი.
4.	მარინე გურგენიძე	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	განათლების დოქტორი, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი - საბჭოს წევრი.

5.	ლელა თავდგირიძე	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პედაგოგიკის დოქტორი, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის პროფესორი, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი - საბჭოს წევრი.
6.	ნინო კობალაძე	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი, ბავშვის განვითარებისა და განათლების ფსიქოლოგი - საბჭოს წევრი.
7.	მაია ჩქოტუა	შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	განათლების მეცნიერებათა დოქტორი, შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალური, ჰუმანიტარული და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, სამეცნიერო ჟურნალის „განათლების ჟურნალი შავი ზღვის რეგიონში (JEBS)" მთავარი რედაქტორი - საბჭოს წევრი.
8.	თამარ შინჯიაშვილი	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	დემოგრაფიის დოქტორი, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი - საბჭოს წევრი.
9.	ლელა ალექსიძე	სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის

			დეკანი, ასოცირებული პროფესორი - საბჭოს წევრი;
10.	ვლადიმერ ადეიშვილი	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პედაგოგიკის დოქტორი, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი, სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს წევრი.
11.	ნინო მოდებაძე	სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პედაგოგიკის დოქტორი, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისა და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი - საბჭოს წევრი.
12.	შორენა ძამუკაშვილი	სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	განათლების მეცნიერებათა დოქტორი, სსიპ - იაკობ გოგებაშვილისსახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს წევრი.
13.	ელისო მურვანიძე	სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	განათლების დოქტორი, სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის სამსახურის უფროსი; საქართველოს პორტიჯის ასოციაციის ადრეული განვითარების პროგრამის

			კონსულტანტი; ბავშვთა ასაკის შეზღუდულ შესაძლებლობათა საქართველოს აკადემიის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; საქართველოს ფიზიკურ თერაპევტთა ასოციაციის დირექტორი - საბჭოს წევრი.
14.	ეკა გიგაშვილი	შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი	განათლების მეცნიერებათა დოქტორი, შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ADB -ის (აზიის განვითარების ბანკსა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ერთობლივი პროექტი) კურიკულუმისა და სასწავლო მასალების განვითარების კონსულტანტი; არაფორმალური განათლების სერტიფიცირებული კონსულტანტი - საბჭოს წევრი.
15.	ნინო გვარამაძე	შპს ევროპის უნივერსიტეტი	პედაგოგიკის დოქტორი, შპს - ევროპის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტ-კონსულტანტი სამოქალაქო განათლების მიმართულებით - საბჭოს წევრი
16.	ნინო ფეტვიაშვილი	შპს ევროპის უნივერსიტეტი	შპს - ევროპის უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი; სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის უმცირესობათა ენებისა და რუსულის, როგორც უცხოური ენის ექსპერტ-კონსულტანტი - საბჭოს წევრი.

17.	პაატა პაპავა	შპს - კავკასიის უნივერსიტეტი	შპს - კავკასიის უნივერსიტეტის განათლების სკოლის ასოცირებული პროფესორი, მასწავლებელთა პროფესიული უნარების პროგრამის კოორდინატორი, საქართველოს პარლამენტთან არსებული განათლების სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი - საბჭოს წევრი.
18.	ირმა ქურდაძე	სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პედაგოგიკის დოქტორი, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი; სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის „ეროვნული სასწავლო გეგმის განვითარება ქართულენოვანი სკოლებისათვის“ კოორდინატორი - საბჭოს წევრი.
19.	ნინო გოგიჩაძე	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალური განათლების და ენის, მეტყველების და კომუნიკაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების თანახელმძღვანელი; მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის მოწვეული მასწავლებელი; ამავე უნივერსიტეტის ბავშვის განვითარების ინსტიტუტის მთავარი სპეციალისტი; გამოყენებით ქცევით ანალიტიკოსთა ასოციაციის დამფუძნებელი საბჭოს წევრი - საბჭოს წევრი.

20.	მაია შუხოშვილი	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს უმაღლესი განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - საბჭოს წევრი.
21.	თამარ ჟღენტი	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის, ინკლუზიური განვითარების სამმართველოს უფროსი - საბჭოს წევრი.
22.	მაია წულაძე	სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური	სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ინკლუზიური და სპეციალური განათლების მხარდამჭერი ცენტრის (სამმართველო) უფროსი - საბჭოს წევრი.
23.	თეონა ხოსიტაშვილი	სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი	სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის პროგრამის მენეჯერი, ჟურნალის ,,ინკლუზიური განათლება“ მთავარი რედაქტორი - საბჭოს წევრი.
24.	თამარ ისაკაძე	სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი	სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ტრენერი, ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის პროგრამის კონსულტანტი; ა(ა)იპ - ტრენინგებისა და კვლევის ჯგუფის დამფუძნებელი, დირექტორი, მასწავლებელთა პროფესიული უნარების განმავითარებელი ტრენინგ მოდულების ავტორი/ტრენერი - საბჭოს წევრი.

25.	სალომე გაბაძე	შპს- თბილისის აუტიზმის ცენტრი - პირამიდა	შპს- თბილისის აუტიზმის ცენტრ - პირამიდას დირექტორი - საბჭოს წევრი.
26.	სოფიო კერესელიძე	ა(ა)იპ - საქართველოს აუტიზმის ასოციაცია	ა(ა)იპ - საქართველოს აუტიზმის ასოციაციის პრეზიდენტი, თანადამფუძნებელი, აუტიზმის კვლევის და ხელშეწყობის ფონდის დამფუძნებელი და სასწავლო პროგრამების ხელმძღვანელი - საბჭოს წევრი.
27.	მაია ბაგრატიონი-გრუზინსკი	ა(ა)იპ - მაკ-ჯორჯია	ა(ა)იპ მაკ-ჯორჯიას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე პროექტების მენეჯერი, ინკლუზიური განათლების კონსულტანტი - საბჭოს წევრი.
28.	მარიანა ხუნძაყიშვილი	ა(ა)იპ - საქართველოს სკოლის ფსიქოლოგთა ასოციაცია	ა(ა)იპ - საქართველოს სკოლის ფსიქოლოგთა ასოციაციის თანადამფუძნებელი, აღმასრულებელი დირექტორი; საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის კომიტეტის ზოგადი განათლების სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი - საბჭოს წევრი.
29.	თამარ გაგოშიძე	შპს - თამარ გაგოშიძის ნეიროფსიქოლოგიის ცენტრი	ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, შპს თამარ გაგოშიძის ნეიროფსიქოლოგიის ცენტრის დამფუძნებელი, წამყვანი ნეიროფსიქოლოგი; სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის პროფესორი; ნევროლოგიისა და ნეიროფსიქოლოგიის ინსტიტუტის დამფუძნებელი; ფსიქომეტრული და საკონსულტაციო ასოციაციის პრეზიდენტი; საგანმანათლებლო

			პოლიტიკისა და კვლევების ასოციაციის საბჭოს წევრი; საქართველოს ადრეული ინტერვენციის კოალიციის წევრი; საქართველოს უნივერსიტეტების სტუდენტთა ფსიქოლოგიური კონსულტაციის ცენტრების ასოციაციის თანადამფუძნებელი - საბჭოს წევრი.
30.	თეონა ყაჭეიშვილი	ა(ა)იპ „მშობელთა ხიდი“	ა(ა)იპ „მშობელთა ხიდის“ თავმჯდომარე - საბჭოს წევრი.